ნოემბერი NOVEMBRE

964
1934

სამშობლო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

„LA PATRIE"

Organe du parti National-Démocrate Géorgien.

№ 16

შინაარსი:

1. კავკასიის კონფედერაცია . . . . . ⁂
2. კავკასიის კონფედერაციის პაქტი . . . . . ⁂
3. ალი მარდან ბეგ ტოფჩიბაში . . . . . ალანი
4. მსოფლიო ორომტრიალი და საქ. ბედისწერა. ალ. ასათიანი
5. ქართული სამხედრო სკოლა . . . . . მხედარი
6. ქართული ემიგრაცია და მისი პრესა . . . . . დ. ვაჩნაძე
7. მოტას სიტყვა წარმოთქმული ერთა ლიგაში. ⁂
8. უდიდესი ქართული თარიღი . . . . . ⁂
9. სომეხ-ქართველთა ურთიერთობა: . . . . . ⁂
   დ. ვაჩნაძის სიტყვა
   ა. ჯამალიანის სიტყვა
   ს. ფირცხალავას წერილი
10. ქართველი ერი, როგორც მშენებელი (დასას.) გ. ჟურული
11. ქართველები საბ. მწერ. ყრილბაზე მოსკოვში. ქარ. მწერალი
12. ქართული წარმოდგენა . . . . . ⁂

პარიზი. - Paris.

1934 წ.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

საქართველო

საქართველოს ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის
პერიოდული ორგანო.

„LA PATRIE"

Organe du parti National-Démocrate Géorgien.

ნოემბერი 1934 **№ 16** NOVEMBRE 1934

კავკასიის კონფედერაცია

კავკასიის კონფედერაციის პაქტმა, რომელსაც აქვე ვათავსებთ, საყურადღებო გამოძახილი გამოიწვია ჩვენსა და ჩვენი მეზობლების გამოცემებში. ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ ამ საკითხს ყველა მიუდგა ფრიად ცალმხრივად და ზერელედ. ამ სახით აქაც აღიბეჭდა ჩვენი ემიგრანტული დაუწყობლობის ბუნება, რაც ასე თვალსაჩინოა სხვა, უფრო ყოველ-დღიურ საკითხებში.

ზოგნი ამ დოკუმენტს ზომაზედ გადაჭარბებულ მნიშვნელობას ანიჭებენ და კავკასიელ ერთა განმათავისუფლებელი ბრძოლის უდიდეს ფაქტორად ჰსახავენ; ზოგნი კიდევ მას ყოველგვარ მნიშვნელობას მოკლებულად და უარყოფით მოვლენადაც სთვლიან. საჭიროა ასეთ უკიდურესობათა თავიდან აცდენა და ამ საგანზედ თავის აზრისა და შეხედულების მოქცევა საშუალო ხაზზე, ვინაიდან სწორედ აქ მოიპოვება სიმართლე და საკითხის მიზანშეწონილი დაფასება. უდავოა, რომ ხალხთა პოლიტიკური ცხოვრების გეგმა და სისტემა ფრიად შეზღუდულია და განსაზღვრული თავის მნიშვნელობით, როდესაც იგი იქმნება საკუთარი მიწა-წყლის გარეშე, ხალხთა რეალურ ცხოვრების დაშორებით. მაგრამ ყოველი ასეთი გეგმის მიღებასა და სავალდებულოდ მიჩნევას თავისი დადებითი ფასი და ღირებულება აქვს, უკეთუ ის საღია, მიზანშეწონილი და უპასუხებს ხალხთა ცხოვრების რეალურ ინტერესებსა და ზრახვებს. კავკასიის კონფედერაციის პლატფორმა ასეთს გეგმას წარმოადგენს; იგი არ არის ამა თუ იმ პირის განყენებული აზროვნების ნაყოფი, ნაჩქარევად შეთხზული და მიღებული. მას უკვე ათი წლის ისტორია აქვს, თვით ჩვენს ამ აშლილს ემიგრანტულ სინამდვილეში. ამ ხნის მანძილზე კავკასიის კონფედერაციის პლატფორმა მუდმივი მსჯელობის და აზრთა გაცვლა-გამოცვლის საგანი იყო კავკასიის ერთა

30475

საქართველოს პარლამენტის
ეროვნული ბიბლიოთეკა

ჯანრი ქაშია

ეროვნული ბიბლიოთეკა

პოლიტიკურს წრეებში. ჩვენ არ გვქონია აქ მეორე საკითხი, რომელსაც ამაზედა ნაკლები დავა და წინააღმდეგობა გამოეწვიოს კავკასიის ერთა სხვა და სხვა პოლიტიკურს დაჯგუფებებში. ყველ. წრეებმა მიიღეს იგი, როგორც ყველაზე უფრო საიმედო გზა თავის ეროვნულ მეობის აღდგენისა და მომავალი პოლიტიკური ცხოვრების მტკიცე საფუძველებზე დამყარებისთვის. მართალია, ზოგნი მათგანი თავიდანვე მხურვალედ მოეკიდენ ამ საკითხს და მის პრაქტიკულად შემზადებისათვის ენერგიული მუშაობა დაიწყეს, ხოლო ზოგს კიდეე პირველ ხანებში ყოყმანი ემჩნეოდა, მაგრამ ეს, როგორც შემდეგ გამოირკვა, გამოწვეული იყო ამ წრეთა სპეციფიურ მდგომარეობითა და ანგარიშებით, რომელთა გადალახვა დროს საჭიროებდა და მოვლენათა ახალ ზედგავლენას. ასეთი გარემოება, რასაკვირველია, არ შექმნილა იმ პაქტით, რომელიც ამა წლის ივლისში გამოქვეყნდა; ის შექმნილი იყო და დამყარებული რამოდენიმე წლით უფრო ადრე. და ამ დოკუმენტის სუსტი მხარე იმაში მდგომარეობს, რომ ის ამ ფრიად მნიშვნელოვან ვითარებასაც საკმარისად ვერ ამჟღავნებს, ამ მხრივ იგი სამართლიანი კრიტიკისთვის საკმაო საფუძველს იძლევა. მაგრამ არ არის სასარგებლო, რომ ასეთი კრიტიკა მიზანშეწონილობის საზღვრებს გადასცდეს. საკმარისია აღინიშნოს მხოლოდ, რომ ასეთი დოკუმენტის გამოქვეყნებისათვის უკეთესი დროის შერჩევა შეიძლებოდა, და რაც უფრო მნიშვნელოვანია, არ იყო ძნელი, ამ დეკლარაციის ირგვლივ გაცილებით უფრო ფართე წრეების შემოკრება. ამისათვის საკმარისი იყო წინასწარი მოლაპარაკება იმ დაჯგუფებებთან, რომელნიც პაქტის გამოცემის თაოსნებთან პრაქტიკულ თანამშრომლობაში არ იმყოფებიან, ხოლო კავკასიის კონფედერაციის პლატფორმას სავსებით გარკვეულად იზიარებენ. სიძნელეებს წარმოადგენს ერთი ორგანიზაციული ხელმძღვანელობის ქვეშ მოქცევა ყველა იმ დაჯგუფებების, რომელნიც იზიარებენ კონფედერაციის იდეას. ამისთვის მრავალი დაბრკოლება და წინააღმდეგობაა დასაძლევი და გადასალახავი. ხოლო ასეთს სიძნელეებს არ შეიცავს საერთო დეკლარაციის მიღება ისეთს საკითხზე, რომელსაც ეს წრეები იზიარებენ და იცავენ. კონფედერაციის პაქტს უმთავრესად ასეთი დეკლარაციული დანიშნულება აქვს და, რასაკვირველია, ის დიდათ მოიგებდა, უკეთუ კავკასიის ერთა ყველა უმთავრეს დაჯგუფებათა მრწამს გამოსახავდა. პაქტის ასეთი გაფართოოვება, მართალია, გათვალისწინებული აქვთ მის ავტორებს და ეს მათს დეკლარაციაშიაც არის აღნიშნული, მაგრამ, დიდათ უმჯობესი იქნებოდა, რომ ეს წინასწარ ყოფილიყო შესრულებული.

აღნიშნავენ აგრეთვე იმ გარემოებას, რომ პაქტს ხელს აწერენ კავკასიის სამი რესპუბლიკის იმ პოლიტიკურ მიმდინარეობათა წარმომადგენელნი, რომელთა ხელში იყო ყველა ძალა და საშვალება

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიელ ერთა პოლიტიკურ ერთობისა და კავშირის შესაქმნელად, მათი დამოუკიდებელი არსებობის ხანაში, რაც მათ ვერ განახორციელეს, ასეთი გარემოება შესაძლოა შექმნის ისეთს შთაბეჭდილებას, თითქოს კავკასიის კონფედერაციის იდეა ამ წრით ამოიწურება,; ეს რასაკვირველია, სასურველი არ არის და ამის გამოსწორება მხოლოდ იმით შეიძლება, რომ ყველა წრემ და დაჯგუფებამ გამოყოს კონფედერაციის პლატფორმის იდეა ყველა იმ საკითხებიდან, რომელთა შესახებ ამ წრეებს ჯერ კიდევ არ გამოუნახავთ საერთო ენა და ის მიიჩნიოს, როგორც საერთო გეგმა, მიუხედავად ამ დაჯგუფებათა ორგანიზაციული წყობისა და მუშაობის წესების სხვადასხვაობისა.

ბუნებრივად ყურადღებას იქცევს ის გარემოება, რომ კავკასიის კონფედერაციის პაქტი იხსენიებს სამს რესპუბლიკას, ხოლო სომხეთის შესახებ ამბობს, რომ მისთვის თავისუფალი ადგილია დატოვებული. ვინც ამ საკითხებში საკმარისად არ არის ჩახედული, შესაძლოა ისეთი შთაბეჭდილება მიიღოს, რომ სომხური პოლიტიკური წრეები მონაწილენი ყოფილან კავკასიის კონფედერაციის პაქტის შემზადების საქმეში და უკანასკნელ მომენტში მას დაშორებულან.

ჩვენ დარწმუნებული ვართ, რომ სავსებით შესაძლებელი იყო სომხურ წრეთა დადებითი პოზიციის მიღება იმ დეკლარაციაში, რომელიც მომავლისათვის კავკასიის კონფედერატიულად მოწყობის გეგმას შეიცავს. მიუხედავად ყველა იმ სპეციფიურ პირობებისა, რომელთა მეოხებით სომხური პოლიტიკური წრეები თავს იკავებდენ თავის მეზობლებთან, მუდმივ ორგანიულ თანამშრომლობისაგან.

ამაში ჩვენ გვარწმუნებს ის გარემოება, რომ სომხურ გამოცემებში მრავალი ახსნა - განმარტება დაწერილა იმის შესახებ, თუ რა მიზეზთა მეოხებით არ ხერხდება დღემდე სომხურ ძალთა ორგანიზაციული დაკავშირება მათი მეზობლების ძალებთან, საერთო მიზნების მიღწევისათვის წარმოებულს მუშაობაში, მაგრამ არასოდეს დაწერილა, რამ მომავალში კავკასიის კონფედერატიულად მოწყობის იდეის დამგმობი და უარმყოფელი; წინააღმდეგ ამისა, არა ერთხელ ჰქონია ადგილი სომხურ პოლიტიკურ წრეთა პასუხისმგებელ წარმომადგენელთა განცხადებას, რომ ისინი სავსებით იზიარებენ ამ იდეას და გეგმას და კიდევაც მოიპოვება მათ წარმომადგენელებთან ერთად შედგენილი აქტები 1921 და 1924 წლისა, სადაც კავკასიის ერთა განმათავისუფლებელ ბრძოლის ამოცანად მიჩნეულია კავკასიის ოთხ რესპუბლიკათა პოლიტიკური და ეკონომიური ერთობის შექმნა, რაც წარმოადგენს მათი კულტურული და ეკონომიური კეთილდღეობის ერთად - ერთ საფუძველს, ხოლო მეორე დოკუმენტში ასეთს კავშირსა და ერთობას უკვე კონფედერაცია ეწოდება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი გამოცემა ეკუთვნის იმ მიმართულებას, რომელიც თოოსანი იყო კავკასიის ერთა განთავისუფლებისათვის მებრძოლ ძალების საქმეში და მოქმედებაში გაერთიანებისა, თვით კავკასიის მიწა-წყალზე 1921 წლის შემდეგ წარმოებულს განმთავისუფლებელს მუშაობაში, რასაც თავისი გამოსახულება მიეცა საქართველოში მომხდარ 1921, 1922 და 1924 წლის აჯანყებების დროს და აგრეთვე იმ აჯანყებებსა და ბრძოლებში, რომელსაც ადგილი ჰქონდა სომხეთში, აზერბაიჯანში და ჩრდილო-კავკასიაში. ამავე მიმართულებამ ჩაუყარა საფუძველი კავკასიურ ძალთა საერთო კავკასიურ ორგანიზაციებს უცხოეთში, ჯერ კიდეე 1924 წელს და ბუნებრივია, რომ ჩვენ მივესალმებით ყოველივე ნაბიჯს ამ მიმართულებით, მიუხედავად იმისა თუ რომელი წრიდან გამომდინარეობს ის და რა სივრცესა და სიფართოვეს შეიცავს.

კავკასიის კონფედერაციის პაქტი

აზერბაიჯანის, ჩრდილო-კავკასიის და საქართველოს ეროვნული ცენტრები,

იღებენ რა მხედველობაში, რომ ერთა ყოველმხრივი განვითარება შესაძლებელია მხოლოდ მათი სრული დამოუკიდებლობის პირობებში,

დარწმუნებულნი, რომ ამ მიზნის მიღწევა უაღრესად ძნელია გარეშე კავკასიის ყველა ძალების გაერთიანებისა საერთო საზღვრების ფარგლებში,

დარწმუნებულნი, რომ კავკასიის ერთა სასიცოცხლო ინტერესების დაცვა მოითხოვს მათი საგარეო პოლიტიკის და მათი ეროვნული თავდაცვის საერთო ხელმძღვანელობას,

დარწმუნებულნი, რომ ამგვარი კავშირით კავკასიის თითოეული ერი მოიპოვებს რეალურ გარანტიას თავისი სუვერენიტეტისა, აუცილებელის ინტელექტუალური და მატერიალური ძალების სრული განვითარებისათვის,

დარწმუნებულნი, რომ იღებენ რა კავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საფუძვლებს, ისინი ეყრდნობიან ყველა მათ თანამემამულეთა მხარის დაჭერას,

ერთსულოვანნი იმაში, რომ კონფედერაცია როგორც პოლიტიკური ფორმა კავკასიის სახელმწიფოთა მოცემულია ამ ქვეყნების გეოგრაფიული და ეკონომიური ერთობით,

აცხადებენ შემდეგ საფუძვლს კავკასიის კონფედერაციისას:

1. კავკასიის კონფედერაცია, უზრუნველყოფს რა შიგნით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნულ ხასიათს და სუვერენიტეტს თითოეულ რესპუბლიკისას, იმოქმედებს საგარეოთ ყველა რესპუბლიკების სახელით, როგორც საერთაშორისო ერთეული უმაღლეს წყობისა, კონფედერაციას ექნება საერთო საზღვარი პოლიტიკური და საბაჟო.

2. კონფედერაციაში შემავალი რესპუბლიკების საგარეო პოლიტიკას უხელმძღვანელებს სათანადო ორგანოები კონფედერაციისა.

3. კონფედერაციის საზღვართა დაცვა მიენდობა კონფედერაციის არმიას. შემდგარს კონფედერაციაში შემავალ არმიებისაგან, ერთ მთავარ სარდლობით, რომელიც ექვემდებარება კონფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებს.

4. ყოველივე დავა, რაიცა შეიძლება ატყდეს კონფედერაციაში შემავალ რესპუბლიკათა შორის და რომლის მოგვარება პირდაპირი მოლაპარაკების საშუალებით შეუძლებელი აღმოჩნდება, უნდა გადაეცეს სავალდებულო არბიტრაჟს, ან კონფედერაციის უზენაეს სამსჯავროს. კონფედერაციაში შესული რესპუბლიკები კისრულობენ ვალდებულობას, უცვლელათ მიიღონ და აღასრულონ მათი ყველა დადგენილებანი.

5. ექსპერტთა კომისია შეიმუშავებს უახლოეს დროში კავკასიის კონსტიტუციის პროექტს ზემოთ ჩამოყალიბებულ პრინციპების სახეში მიღებით: ეს პროექტი გახდება ბაზათ თითოეულ რესპუბლიკის პირველ დამფუძნებელ კრების მუშაობისათვის.

6. ამ პაქტში დატოვებულია ადგილი სომხეთის რესპუბლიკისათვის.

აზერბაიჯანის სახელით:

ე. რასულ-ზადე,

აზერბაიჯანის ეროვნულ საბჭოს ყოფილი თავმჯდომარე და აზერბაიჯანის ეროვნულ ცენტრის თავმჯდომარე.

ალი მარდან ტობჩიბაში,

აზერბაიჯანის რესპუბლიკის დელეგაციის თავმჯდომარე და მთავრობის ყოფილი თავმჯდომარე.

ჩრდილო-კავკასიის სახელით:

გირის სუნშ.

იბრაჰიმ ჩულიკ.

ტაუსულტან შაკმან.

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს სახელით :

ნოე ჟორდანია,

საქართველოს რესპუბლიკის ყოფილი
თავმჯდომარე და საქართველოს ეროვნულ
ცენტრის თავმჯდომარე.

აკაკი ჩხენკელი,

საქართველოს ყოფილი სრულუფლებიანი
მინისტრი საფრანგეთში.

დადებულია ბრიუსელში
14 ივლისს, 1934 წ.

ალი მარდან ბეგ თოფჩიბაში

8 ნოემბერს საფრანგეთის მიწას მივაბარეთ ჩვენი მეზობელ ქვეყნის, აზერბაიჯანის, უდიდესი მოღვაწე ალი მარდან თოფჩიბაში განსვენებული ეკუთვნოდა წრეს ისეთ მოღვაწეობისა, რომელნიც უდიდეს კვალს სტოვებენ თავის ერის ცხოვრებაში, არა მარტო თავის ღვაწლით, არამედ აგრეთვე თავის მაღალი ზნეობრივი ბუნების მაგალითის ზედგავლენით. ასეთი მაღალი ბუნების მოღვაწეობა იშვიათად ფასდება ღირსულად მოღვაწის სიცოცხლეში. მაგრამ საკმარისია, რომ ასეთი მოღვაწე გასცილდეს ცოცხალი რიგებს, რომ მისი ნამდვილი სახე მთელი თავის სიდიდით აღიმართოს მახლობელ მეგობართა და თვით მოწინააღმდეგეთა წინაშე. გასაგებია, რომ ამ დიდი მოღვაწის მიცვალებამ უღრმესი მწუხარება გამოიწვია აზერბეიჯანის და სხვა მახლობელ და შორეულ მეზობელთა წრეებში. დასაფლავებას ბლომად დაესწრენ აზერბაიჯანელნი, ქართველები, სომხები, ჩრდილო-კავკასიელნი, უკრაინელნი, თურქესტანელნი და ყაზახები, რომელთა წარმომადგენლებმა მხურვალე გამოსალმების სიტყვები წარმოსთქვეს განსვენებულის საფლავის წინაშე.

ალი მარდან ბეგ თოფჩიბაში დაიბადა თბილისში 1862 წელს და საშუალო განათლება მიიღო იქვე, თბილისის პირველ გიმნაზიაში. მისი დიდი პაპა, ისიც ალ მარდან ბეგ თოფშიბაში უკანასკნელ საქართველოს მეფობის დროს, ნაზირის ხარისხს ატარებდა და იყო არტილერიის უფროსი (თოფჩიბაში) და ციხის კომენდანტი. მისი პაპა, მირზა ტაფარ ბეგი მიწვეული იყო პეტერბურგის უნივერსიტეტში, როგორც აღმოსავლეთის ენების პროფესორი და მამა მისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

აგრეთვე თვალსაჩინო მხედარი იყო და მსახურებდა ეკრშავაში. ასეთი თვალსაჩინო ოჯახის კვალი ღირსეულად განაგრძო განსვენებულმა. უნივერსიტეტის დასრულების შემდეგ ი ვი საოლქო სასამართლოს მდივანია თბილისში, შემდეგ გამომძიებელი. შემდეგ ი ვი მეთაურია აზერბაიჯანის საზოგადო მოღვაწეთა წრის. ის მოღვაწეობს კულტურულ და სხვა ეროვნულ საქმიანობის ყოველს დარგში. ის შემქნელია და ხელმძღვანელი აზერბაიჯანის ფართე პატრიოტულ მოძრაობისა, როგორც ცნობილი გაზეთის, „კასპი"-ს რედაქტორი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს წევრი და აზერბაიჯანის წარმომადგენელი მუსულმანთა კონგრესებზე და სხვა საზოგადოებრივი ხასიათის ყრილობებზე. აზერბაიჯანის დამოუკიდებლობის ხანაში ი ვი პარლამენტის თავმჯდომარეა და შემდეგ უცხოეთში გაგზავნილ დელეგაციის თავმჯდომარე.

ალი მარდან ბეგ თოფჩიბაშის მოღვაწეობა და მთელი მისი პირადი ცხოვრება მტკიცეთ იყო დაკავშირებული და გადამბული საქართველოსთან და მისი საუკეთესო შვილთა საქმიანობასთან. თავის ერში ი ვი მიჩნეული იყო, როგორც ქართველი ერის ერთგული მეგობარი და მისი ინტერესების მცოდნე და დამცველი, და ასევე საქართველოში ი ვი ცნობილი იყო როგორც ქართველების გულწრფელი მეგობარი და საუკეთესო წარმომადგენელი ჩვენი მეზობელ ერის. ალი მარდან ბეგი ცოცხალი კავშირი იყო ამ ორ მეზობელ ერთა შორის ათეულ წელთა მანძილზე და მთელი მისი მოღვაწეობა მუდამ ემსახურებოდა საქართველოსთან და სხვა კავკასიის ერებთან მტკიცე კავშირისა და ერთობის დამყარების საქმეს.

ასეთი მოღვაწეობა მან დაიწყო დიდ ილიასა და მის სახელოვან წრესთან. მრავალი პატრიოტული საქმე გამოუწყია და მრავალი გეგმა და აზრი დაუმუშავებია განსვენებულს ამათ წრეში და ასეთ მოღვაწეობა მან ქართველების შემდეგ თაობებში განაგრძო და თავის ცხოვრების უკანასკნელ წუთამდე მიიტანა. ჩვენი მეზობელი ერის ამ დიდი მოღვაწის ცხოვრება ისე მჭიდროთ არის გადამბული ჩვენი ერის მეთაურწრეთა მოღვაწეობასთან მთელი ორმოცი წლის მანძილზე, რომ ჩვენი მატიანე ღირსულ ადგილს დაუთმობს მას, როგორც დიდს ჩვენს მეგობარს და საქართველოს ყოველ ჭირ-ვარამის მოზიარესა და მონაწილეს.

ალანი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მსოფლიო ‘ოკუპანტრიალი და საქართველოს ბედისწერა

მიმდინარე წლის საქტემბერი ფრიად მნიშვნელოვან დატას წარმოადგენს ჩვენი ერის განთავისუფლებისათვის წარმოებულ ბრძოლის მატიანეში. მაგრამ იგივე თვე საყურადღებო თარიღია სხვა დიდ და პატარა სახელმწიფოთა თანამედროვე პოლიტიკურს ვითარებაში. საბჭოთა რუსეთი, რომელიც თავის გაჩენის დღიდან, დაუპირდაპირდა ყველა ერებსა და მთელს მსოფლიოს და იბრძოდა და მუშაობდა მათ დასანგრევად ყოველი ზომითა და საშუალებით, ყოველს სფეროში და ყოველს ასპარეზზე, მოწვეულ იქმნა იმ კრებულში, რომელსაც ნაციათა ლიგა ეწოდება და რომელიც დაარსებულია დასამკვიდრებლად ხალხთა შორის ურთიერთობისა, მშვიდობიანობისა და კანონიერების მორალზე. საბჭოთა რუსეთს არ გამოუცვლია თავისი კომუნისტური იდეა და მორალი, რომელიც დიამეტრალურად ეწინააღმდეგება „ბურჟუაზიულ“ ქვეყნების აზრსა და მორალს; ლიტვინოვმა ეს ხაზგასმით განუცხადა ჟენევის პატიცცემულს კრებულს. თავის მხრივ არც ამ უკანასკნელს გადაუგდია თავისი აზრები და დებულებანი, ნაციათა ლიგის საძირკვლად ჩაყრილი. ასე რომ ორთავე მხარემ ახდილად და სრულის ნებაყოფლობით გაუწოდა ხელი ერთი მეორეს. როგორც ბურჟუაზიული, ისე კომუნისტური ნამუსი შენახულია და კაპიტალიც შეძენილი.

მაგრამ ამ დაქორწინების ამბავი ასეთია მხოლოდ გარეგნულად, ხოლო მისი არსებითი ბუნება და შინაარსი ასეთ უმანკო სახეობისაგან დიდათ განსხვავდება. კაპიტალი უთუოდ შეძენილ იქმნა, შესაძლოა ორივე მხარის მიერ, თანაბრად თუ ზედმეტად. მაგრამ ნამუსი და უმანკოება, რასაკვირველია, არ დარჩენილა შეუბღალავი არც ბურჟუაზიული და არც კომუნისტური. საჭირო იყო, რომ წითელ სასიძოს ბურჟუაზიული მოქცევა და მოქნილობა შეეთვისებია, ფრაკით შემოსილიყო, ლენინსავით ხუთსართულიანი გინება დაეტოვებინა და ტალეირანის შემპარავ, ტკბილი ენით ამეტყველებულიყო და მით ორიგინალურ კავალრად გამხდარიყო. წინეთ ეს არ ხერხდებოდა. მაგრამ ამ ხანად შესაძლებელი გახდა. ჰფიქრობენ, რომ ამის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ მოსკოველი სიძე ძლიერს მოყვრებს დაეძებს, მოსალოდნელ ომით დაშინებული. ამასთანავე ის უთუოდ მდიდარ მზითევებსაც უთვალთვალებს ქონებრივად დაქცეულ და გადატაკებულ ოჯახის გასამგრებელად. მაგრამ ყოველივე ეს საკმარისი არ იქნებოდა, რომ თვით მშვენიერ ბურჟუაზიულ პატარძალსაც არ გამოსცვლოდა თავისი ძველი აზრი და ბუნება. დღეს არც ის უყურებს „მარიაჟს“ წინანდებულად, როგორც წმინდა და სამუდამო კონტრაქტს ღვთისა და ქვეყნის წინაშე. რასაკვირველია, მას არც „ზაქსი“ მოსწონს, კავშირი და პირობა ერთი დღით, მაგრამ არც ისე, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

გორც წინეთ, სამუდამო უღელი და ბორკილი... ასე რომ, ენენეის „მარიაჟი“, შესაძლოა ისე მტკიცე არ გამოდგეს, როგორც ამას ზოგ-ერთი ჰფიქრობს, მაგრამ ის უთუოდ არც ისე შემთხვევითი იყო და არაბუნებრივი, როგორც ეს ბევრს ეჩვენება. კომუნისტური რუსეთისა და დანარჩენი სამყაროს დაპირდაპირება და განსხვავება კვლავ რრება მრავალს სფეროში, მაგრამ ვინც ამ ორი მხარის ეხლანდელ ბუნებას ღრმად ჩაუკვირდება, უთუოდ შეამჩნევს, რომ ეს ორი მხარე ერთმანეთს უახლოვდება. ზოგი ჰფიქრობს, რომ მოსკოვის კომუნიზმმა განიცადა დიდი ცვლილება, ევოლიუცია და მით დაუახლოვდა სხვა ქვეყნებს. ეს უთუოდ ასეა და ისტორიას არც ახსოვს მაგალითი, რომ ხალხთა ცხოვრება ვინმეს ხანგრძლივად დაემორჩილებინოს განყენებულ და უცელელ დოგმებისათვის. მაგრამ ეს ცვლილება უფრო გა... რეგნულია, ვიდრე შინაარსით. სახელმწიფოებთან პირობისა და ტრაქტატების სიწმინდე და ხელშეუხლებლობა, რომელიც მათ წინეთ სასაცილოდაც არ ყოფნიდათ, დღეს ასეთად არის აღიარებული და რად არ უნდა იყოს ის ასე მიჩნეული, თუ ეს პირობა მათ სარგებლობას მისცემს იმ დრომდე, სანამ მათი დარღვევა არ გახდება მათთვის უფრო სასარგებლო? ასეევა ვალების ცნობა, როდესაც ეს მათ ახალი სესხების გზებს უხსნის, რაც მათ გადახდის აუცილებლობას სრულებით არ მოასწავებს... და ასევე მრავალს სხვა დარგში.

გაცილებით უფრო მნიშვნელოვანი და ღრმა ევოლიუცია განიცადა მეორე სამყარომ და თუ რუსეთის კომუნიზმმა გადადგა ერთი ნაბიჯი მის მიმართ, ამან მრავალი ნაბიჯით უპასუხა. საერთო აზრია, რომ კომუნიზმი დამარცხდა ყველა სხვა ქვეყნებში, გარდა რუსეთისა. მსოფლიო რევოლიუციის შესახებ იმედიანად ეხლა თვით მოსკოვშიდაც აღარაფერს ამბობენ. მესამე ინტერნაციონალის მუშაობა მოკსოვიდან ფრიად შენელდა; მაგრამ თუ ეს მსოფლიო რევოლიუცია არ მოხდა და არ მოხდება, სამაგიეროდ მოხდა დიდი ევოლიუცია მთელი მსოფლიოს გასწვრივ, რომელმაც დაამყარა მთელ მსოფლიოში ბევრი რამ ისეთი, რაც ამ მსოფლიო რევოლიუციის გეგმაში შედიოდა. ამ გარემოებას ნაკლებად თუ ვინმე აქცევს ყურადღებას და ის კი უთუოდ ყურადღების ღირსია. ყველანი ვხედავთ, რომ რუსეთის ბანუზომელ სივრცეზე აშლილი კომუნისტური ტალღები თექვსმეტი წლის მანძილზე ეხეთქება დანარჩენ მსოფლიოს კიდეებს და ვერ შეანგრია მისი ზღუდეები. მაგრამ საკმარისია შევადაროდ ეს დღეკანდელი ხალხთა ცხოვრება იმას, რაც იყო ამ ოციოდე წლის წინეთ, რომ დავრწმუნდეთ, რომ მრავალია შეცვლილი და შერყეული ამ დაუნგრეველ ზღუდეთა შორის; ერთა დამოკიდებულობის წესი და ზნე, პირობისა და ვალდებულების ძალა, ხალხთა შინაური წყობა და ვითარება, ნდობა, კრედიტი პიროვნული და სახელმწიფოებრივი; პიროვნული, ოჯახური და სახელმწიფოებრივი ზნე და წესი იმდენად არის შერყეული და შეცვლილი, რომ ის წარმოადგენს ნა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მდვილს რევოლიუციას, რომლის მსგავსი სივრცითა და შინაარსით, კაცობრიობას არასოდეს განუცდია ასე მოკლე დროის მანძილზე. კაპიტალისტური სამყარო კმაყოფილია და დამშვიდებული იმით, რომ გარეგნულად მასში ყოველივე ისეა, როგორც იყო წინეთ. კანონი, ადმინისტრაცია, ვაჭრობა და მრეწველობა, ქარხნები და წარმოებანი, გზა და მისვლა-მოსვლა, ყოველივე თავის რიგზეა, თუმცა შესუსტებული ეკონომიური კრიზისის გამო, რომელსაც სწამლობენ სხვა და სხვა ეკონომიური რეფორმებით, რომელნიც ვერავითარ გაუმჯობესობას ვერ ჰქმნიან. პოლიტიკური და ეკონომიური კრიზისების ასეთი მოვლენანი წარსულშიაც მრავალჯერ უხილავს კაცობრიობას და მათ დასაძლევად მრავალი ნაცადი წამალი გამოუნახავს. დღეს აღარ მოქმედობს ასეთი წამლობა და ხშირად კიდევ უფრო ამძლავრებს ცხოვრების დაავადებას. დროა ნათელი გახდეს ყველასათვის, რომ ხალხთა ცხოვრების სნეულებათა მკურნალობა შემცდარი გზით მიდის და წამალი და მალამო სნეულობის წყაროს ვერ სწვდება, არამედ მხოლოდ მის შედეგს, მის ანარეკლს, მის გარეგნულ გამოსახულებას.

* * *

ხალხთა ცხოვრების თანამედროვე კრიზისთა და სნეულებათა ფესვები რომ მათ მორალურს სფეროში მოიპოვება, ეს საკმაოდ თვალსაჩინო უნდა იყოს ყველასათვის, ვინც ამ მოვლენების ბუნებას ღრმად ჩასწვდება. წინეთ პიროვნების უბრალო სიტყვიერ დაპირებასაც ფასი ჰქონდა, ხოლო წერილობით პირობას, იშვიათად სჭირდებოდა სახელმწიფოებრივი ძალით დაცვა და განაღდება. კერძო კრედიტი საფუძველი იყო ყოველივე წარმოებისა და ვაჭრობა-მრეწველობის, ხოლო სახელმწიფოსადმი ნდობა კიდევ სახელმწიფო ფინანსების. დღეს ეს იმ ზომადაა შერყეული, რომ ზოგიერთ ქვეყნების ბანკებში ათეული მილიარდები ძვეს უმოძრაოდ, რადგან მის სესხად გაცემას ვერ ჰბედავენ ძველებურს პირობებში. სახელმწიფოთა მიერ გარეშე სესხის აღება ხომ თანდათან დავიწყებას ეძლევა, რადგან უმდიდრეს სახელმწიფოსაც აღარ მოეპოებათ ეს ძველი ნდობა და კრედიტი. კიდევ უფრო უარესი მდგომარეობა დამყარდა ხალხთა შორის პოლიტიკურ დამოკიდებულობაში. საერთაშორისო უფლება წინეთაც მხოლოდ სახელით იყო უფლება და არა არსებითად, რადგან მისი ნორმები მოკლებული იყო ძალდატანებითი განაღდების საშვალებას, რაც ყველა უფლებრივ ნორმებს ახასიათებს. მაგრამ წინეთ საერთაშორისო ხასიათის კონტრაქტს და პირობას სიმტკიცეს აძლევდა და საავალდებულოდ ხდიდა ხალხთა და მათ მეთაურთა მტკიცე მორალური შეგნება. დიდი რამ გარდატეხა, რევოლიუცია თუ გამოიწვევდა ასეთ პირობის დარღვევასა თუ მისგან გადახვევას. ეხლა ეს

ეროვნული ბიბლიოთეკა

მეტად გაადვილდა. საკმაოა მთავრობის შეცვლა, ანუ მხოლოდ საგარეო მინისტრისა და ხშირად კიდევ უბრალო განცხადება, რომ ახალი პირობები შეუძლებლად ხდიან სახელმწიფოს მიერ აღებულ ვალდებულებათა შესრულებას... ასე რომ, როდესაც ევროპაში წამდგარ ბოლშევიკებს, მასპინძლები რეკომენდაციას უკეთებდენ—ესენი მიღებულ ვალდებულებას ასრულებენ, საერთაშორისო ზავს ემსახურებიანო, ამაში ბევრი რამ არ ყოფილა გადაჭარბებული. ისევე, როგორც ბევრი ჩვენგანიო, შეეძლო დაემტკიცა ევროპის კრებულის წევრებს.

რუსეთის ნაციათა ლიგაში მოპაატიებას, საფრანგეთის წარმომადგენელნი და სხვებიც. იმით ასაბუთებდენ, რომ ეს დიდათ დააზიანებდა გერმანიის აგრესიულ გეგმებს. თუ რუსეთი ჩვენ არ დაეიახლოვეთ, გერმანია დაუკავშირდება მასო. თუ ასეთი აქტი ვინმეს ააცდენდა ეროვნულ საფრთხეს, რასაკვირველია ასეთ გადაწყვეტილებას წუნს ვერავინ დასდებდა; მაგრამ არავის განუმარტავს, თუ როგორ დაუკეტავდა რუსეთს გერმანიასთან დაახლოვების გზას ნაციათა ლიგაში გამოჭიმვა. ერთი თვეც არ გასულა მას შემდეგ, და უკვე მთელი მსოფლიო პრესსა ალაპარაკდა— გერმანელები გაფაციცებით მხოლოდ ასეთი გამრავლების უნარით არ განისაზღვრება. დე კრიმუშაობენ რუსეთთან დახლოვებისათვისო. არავისაც არ მოსდის აზრად, რომ რუსეთის ევროპაში მოკალთება შეუძლებლად გახდის ასეთი გეგმების შესრულებას. ბევრს კიდევ იაპონიის ექსპანსია აშინებდა, და ამის მალამოდ რუსეთის ევროპასთან დაახლოვებას რაცხდენ. არავინ ჰფიქრობს იმაზედ, რომ თუ დღეს რუსეთს აშინებს იაპონიასთან ომი, სრულიად არ არის შეუძლებელი, რომ ხვალ მას ზოგი რამ კიდევ დაუთმოს და დაუახლოვდეს, რომ დრო მოიგოს, და ამ ხნის განმავლობაში, ეს დანაკლისი სხვაგან აინაზღაუროს.

ათი წლის წინეთ უთუოდ შეუძლებელი გახდებოდა ამ საკითხის ასე იოლად გადაჭრა, ასეთი ფორმითა და ასეთი საბუთებით. მოტას სიტყვები შეიჭრა დისონანსად; მან მოაგონა ლიგას ის მოვენევის საზეიმო სიტყვებში ეხლოდ შვეიცარიის წარმომადგენლის რალური საფუძვლები, რომელზედაც არის აგებული ევროპის დაწებუნება. „ნეიტრალიზმი, თუნდაც ამაღლებული და კანონიერი ჩვენთვის ხშირად მიუღებელია, ჩვენ თუ რაიმე მეტოქეობას უწევთ სხვა სახელმწიფოებს ეს მხოლოდ მორალურ დიდების სიმტკიცის ძიებაშია, განაცხადა მან. მოტამ მოაგონა ლიგას აგრეთვე ის ვალდებულებანი, რომელიც ორჯერ ჰქონდა მიღებული მას თავის-თავზე საქართველოს მიმართ. ევროპის კრებულმა ოვაციები გაუმართა მოტას. მისი სიტყვა თითქმის ყველას მოეწონა. რამოდენიმე წლის წინეთ უთუოდ ყველანი ასეთი ენით ილაპარაკებდენ. უმაღლესი მორალი, მოვალეობა და მიღებული ვალდებულება, კაცობრიობის სინდისი

ეროვნული ბიბლიოთეკა

და სხვა ამაღლებული ზნე და წესი დიახაც მიჩნეული ჰქონდათ მათ ნაციათა ლიგის საფუძვლად, მაგრამ დღეს მას ჰფარავს ანგარიში და ისიც მეტად ბუნდოვანი ანგარიში... მოტას სიტყვა სიამოვნებით იქმნა მოსმენილი, ხოლო საქმე ამ მოკლე ანგარიშით გადაწყდა.

უთუოდ ასეთი არ იქნებოდა დასავლეთის სახელმწიფოთა პოზიცია კერძოთ ამ საგანზე, და მრავალ სხვა საკითხში რუსეთის მიმართ, რომ მათი პოლიტიკური ანგარიშები უფრო ფართე და გრძელ მანძილიან გეგმებზე იყოს აგებული. საბჭოთა რუსეთის საფრთხე როგორც მსოფლიო რევოლიუციის წყაროსი, ვთქვათ, მათ უკვე აღარ აშინებს; ისინი ჰფიქრობენ, რომ საბოლოოდ აიცდინეს თავიდან ასეთი საშიშროება და ნაკლებად აქცევენ ყურადღებას იმ გარემოებას. რომ თუმცა მსოფლიო რევოლიუცია არ მომხდარა, მაგრამ მოსკოვის კომუნისტებმა მაინც შესძლეს საკმაოდ დიდი რაოდენობის რევოლიუციონური ბაცილების შეშხაპუნება ყველა ხალხთა ძარღვებში; ამ ხანად ეს მხოლოდ ერთგვარ უძლურებას და დაძაბუნებას აწევენს ხალხთა მორალურსა და ეკონომიურს ცხოვრებაში, მაგრამ არავინ იცის თუ რა სახეს მიიღებს ის შემდეგ. უკეთუ ეს ბაცილები დროზედ არ იქნა დაძლეული. მაგრამ თვით რუსეთი, არა კომუნისტური მხოლოდ, არამედ საზოგადოთ რუსეთი, შეიძლება თუ არა რომ ის გახდეს დიდ საფრთხეთ დასავლეთისათვის?

ამ რამოდენიმე თვის წინეთ იტალიის მეთაურმა მუსოლინმა დალტამბა წერილი, რომელმაც დიდი გამოძახილი გამოიწვია პრესსაში და თვით მეცნიერულს გამოცემებში. მუსოლინი აღნიშნავდა იმ საშინელს საფრთხეს, რომელიც მოელის დასავლეთს იმის გამო, რომ მისი მოსახლეობა დაკლების პროცესში შედის, ნაცვლად მომატებისა. ამავე დროს რუსეთი და აზიის ქვეყნები მეტად მრავლდებიან. ინგლისელი მეცნიერი საუნდერსი ამას დასძენს, რომ „ახლოა საათი, როდესაც „ყვითელი საფრთხე“ რეალური გახდება“-ო. რომ ეს საფრთხე შეიძლება მარტო ყვითელი არ იყოს, არამედ თეთრიც ანუ ყვითელ-თეთრი, ამას გვიმტკიცებს ნიჭიერი ფრანგი ჟურნალისტი დე კირილისი, რომელმაც რუსეთში იმოგზაურა და მისი ცხოვრება ნათლად აგვიწერა. დე კირილისი ჰფიქრობს, რომ 50 წლის შემდეგ რუსეთს ეყოლება 250 მილიონი მცხოვრები, ხოლო საფრანგეთს—35 და გერმანიას—55. მაგრამ რუსეთის საფრთხე, მთელი ევროპისათვის მხოლოდ მისი ასეთი გამრავლებით არ განისაზღვრება. დე კირილისი გვაწერშუნებს, რომ რუსეთი როგორც ძველი, ისე ეხლანდელი. მუდამ მსოფლიოს შთანთქვაზე ოცნებობს. ამ ხალხის ეს სიმსენაგე არასოდეს დაკმაყოფილებულა. ეს ხალხი, რომლის ტერიტორია მთელი მსოფლიოს მეექვსედ ნაწილს შეიცავს და აერთებს წყნარ ოკეანეს ბალტიის ზღვასთან, აზიას ევროპასთან, რომელიც საზღვრავს 50 ქვეყანას და შთანთქავს ასეულ სხვას, თავის ზრახვებს არასოდეს იმჩნევდა დაკმაყოფილებულად. ხან შორეულ - აღმოსავლეთისაკენ

ეროვნული ბიბლიოთეკა

იწევდა, ხან სპარსეთისაკენ, ხან შვეიცისაკენ, რომ მიეღწია ატლანტიური ოკიანემდე, მუდამ სტამბოლს მოითხოვდა, მუდამ სამხრეთის სლავიანებს შთანქვით ემუქრებოდა, რუსეთი არასოდეს ყოფილა გამძლარი და არც არასოდეს იქნება გამძლარი.

დე კირილისის ასეთი რეკომენდაცია რუსეთისა, რასაკვირველია ნაკლებად ჰგავს იმ კანონიერებისა და პაციფიზმის განსახიერებას და აბრამის ბატკანს, რომელიც ევროპის ქვეყნების წარმომადგენლებმა ყენევაში ერთმანეთს წარუდგინეს ამა წლის სექტემბერში, და დე კირილისს დახასიათება, რომ სავსებით სწორია, ამის უდავო საბუთია რუსეთის მთელი წარსული. და თუ ეს ასეა, მაშინ რა კეთილი შედეგები უნდა მოჰყვეს ევროპისათვის ისეთს პოლიტიკას, როდესაც ხან ერთი სახელმწიფო გადაეხვევა რუსეთს, ხელს შეუწყობს და შეუმსუბუქებს მდგომარეობას, ხან მეორე პირველის ჯინაზედ და ხან კიდევ მრავალნი ერთად; ხოლო ყველანი ერთად სდარაჯობენ ყველა მათ საზღვრებს, რომ ხიფათი რამ არ შეემთხვეს, მოულოდნელად თავს არავინ დაესხას და არ წაართვას თუნდაც ერთი მესანდი იმისა, რაც მას წინეთ სხვებისათვის წაურთმევია. ეს პოლიტიკა ის პოლიტიკაა, რომელმაც დაუკლებლივ უნდა გაანაღდოს დე კირილისის მწარე წინასწარმეტყველობა—რომ მსოფლიოს მეექვსედ და უმდიდრეს სივრცეზე, რუსეთის მოსახლეობა ბაჭიებსავით გამრავლდეს და 50 წ. შემდეგ 250 მილ. გახდეს. ამ შემთხვევაში თითქოს ერთადერთი პოლიტიკური გეგმა უნდა ყოფილიყო საღი და რეალური რუსეთის მიმართ და გეგმა მთელი დასავლეთისათვის სასარგებლო და მისაღები: არა იმის ხელშეწყობა, რომ რუსეთი გახდეს 250 მილიონი, არამედ იმისა, რომ ისიც ჩაყენებულ იქმნეს გამრავლების მხრივ, დაახლოვებით ისეთსავე პირობებში, რომელშიდაც იმყოფებიან დასავლეთის სხვა ქვეყნები. რუსეთი რომ ველაკროსლის საზღვრებში მოემწყვდეს და მას ჩამოეცალოს სხვა ეროვნებათა სივრცე-სიმდიდრენი, მისი მოსახლეობის გამრავლებაც ისეთივე იქნება დაახლოვებით, როგორც სხვების. მაგრამ არა მარტო ასეთ გამრავლებაში გამოისახება მხოლოდ თანამედროვე რუსეთის სივრცეში მოქცეულ უკრაინის, ბელოროსსიის, კავკასიის, „აზიახთა“ ქვეყნების, თურქესტანის, კირგიზისა და სხ. და სხ. შთანთქვის საშიშროება. რუსეთის ისტორია გვასწავლის, რომ დაქსაქსული და დანაწილებული, სახელმწიფობრივად მოუწყობელი რუსობა, სახელმწიფოებრივად შენდება მას შემდეგ, რაც მან მონგოლთა ორ საუკუნოვანი ბატონობა განიცადა და მათგან შეითვისა სახელმწიფოებრივი ადმინისტრაციისა და ფინანსების მოწყობის წესები. შემდეგ მას გერმანელი, ლიტოველებისა და სხ. ერთა წარმომადგენელნი აწყობდენ და ალაგებდენ. შემდეგ ამათ ქართველები, სომხები და სხვა ერთა წარმომადგენელნი მიემატენ. ამ ელემენტებმა შეპმატეს და შესძინეს რუსეთის ხალხს ის სახელმწიფოებრივი მართვის თვისებები, რომელიც მას აკლდა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ძნელი არ უნდა იყოს რუსეთის წარსულისა და აწმყოს მიხედვით, წინასწარ გათვალისწინება იმისა, თუ რა შედეგი უნდა მოჰყვეს შესრულებას იმ გეგმისა, რომლისთვისაც ასე იღწვიან ზოგიერთი დასავლეთის ქვეყნები—უკეთუ რუსეთი შერჩა ეხლანდელ თავის საზღვრებს, კომუნისტური რეჟიმით გამოწვეული დაუძლურება მოინელა და გადაიტანა, მის საზღვრებში მყოფი ერები შთანთქა და შეიზარდა და მათი თვისებებით თვისი რასიული ნაკლი შეავსო. თუ დღევანდელმა რუსეთმა, მსოფლიო ომით, და კომუნისტური რევოლუციათა და რეჟიმით დაუძლურებულმა, უნიადაგო, განყენებული ინტერნაციონალური იდეებით შეპყრობილმა, საგრძნობლივ შეარყია და დამბლა დასცა დასავლეთის ხალხთა ცხოვრებას როგორი იქნება ამ დასავლეთის მდგომარეობა, უკეთუ 50 წლის შემდეგ მას მოევლინება შეკრული და შედუღებული 250 მილიონნანი რუსეთი, ახალი ნაციონალური ზრახვებით შეწყობილი და ამოძრავებული? ასეთ ძალაზე და ასეთს პირობებში მეორე ჯუღაშვილის წარმოშობა უთუოდ გაცილებით მეტი საფრთხე იქნება დასავლეთისათვის, ვიდრე იყო და არის ამ ხანად პირველი ჯუღაშვილის მოღვაწეობა. და ასეთ საფრთხის წინაშე რას უნდა წარმოადგენდეს ყველა ის უთანხმოებანი, რომელიც მოეპოვათ ევროპის ქვეყნებს ერთმანეთის შორის და რომელთა მეოხებით ისინი არამც თუ ვერ ახერხებენ საერთო გეგმით და საერთო ძალებით მოქმედებას, მოშავალი საერთო და დიდი საფრთხის თავიდან ასაცდენათ, არამედ, წინააღმდეგ ამისა, ხელს უწყობენ ამ საფრთხის მოახლოვებისათვის საუკეთესო პირობების შექმნას?

* * *

დასავლეთი რომ დიდი განსაცდელის წინაშე იმყოფება, ამაზედ ხშირად მეტყველობენ მუსოლინი და სხვებიც. მსოფლიო ომის მძიმე მემკვიდრეობას, კომუნისტური მოძრაობის მოვლენაც დაემატა. ეს კომუნისტური რუსეთი უზარმაზარ ანთებულ კოცონს წარმოადგენს დასავლეთისა და აღმოსავლეთის საშუაროთა შორის და უკვე ჩვიდმეტი წელია რაც განუწყვეტლივ ისერის ცეცხლის ალს ყოველის მიმართულებით. ზოგან მან რევოლიუციური მოძრაობის გაღვივება შესძლო, ბევრი რამ გადაწვა და გაანადგურა. სხვაგან მან ეს ვერ მოახერხა, მაგრამ უხილავი გზებით მაინც შეიჭრა, ხალხთა სულიერ ცხოვრებას, ეკონომიურ და პოლიტიკურ წყობას, საფუძვლები შეურყია, დაუზიანა. იგი ფხიზლად დარაჯობს დასავლეთს და აღმოსავლეთს, რომ უფრო მოხერხებული დრო იშოვოს ახალი იერიშებისათვის. აქამამდე ინტერნაციონალური დროშით ილაშქრებდა, ამიერიდან ნაციონალური დროშით დაემუქრება, თუ ეს უფრო მჭრელად მოეჩვენა. ამისთვის ის ხალხს ამზადებს, სამშობლოსა და

ეროვნული ბიბლიოთეკა

მამულის სიყვარულს ათვისებს; რუსეთის იქით კიდევ დიდი სამყაროა საუკუნეთა მანძილზე დასავლეთთან დაპირდაპირებული. აღმოსავლეთის ქვეყნები თავს აღწევენ საუკუნოებრივ ძილსა და თვლემას და აღორძინების პროცესს განიცდიან. ამათ მრავალი ანგარიშები აქვთ დასავლეთის ქვეყნებთან... დასავლეთის წინაშე უმძიმესი პრობლემები დგება გადასაჭრელად და ეს მოითხოვს მისგან თავის შერყეულ მორალური, პოლიტიკური ცხოვრების დაჩქარებით აღდგენას, განმტკიცებასა და გაძლიერებას, რომ შინაგან და გარეშე საფრთხეს სათანადო პასუხი გასცეს.

დასავლეთის ხალხთა ცხოვრების ეგზომ მძიმე საშინაო და საგარეო სირთულენი ბევრში სრულს უიმედობას ჰბადებს. ხოლო სხვებს კიდევ სწამს, რომ ევროპა თავს დააღწევს ამ მძიმე დეპრესიას და კვლავ აღსდგება, აღორძინდება. ბევრს ამისიმედს იტალიის მაგალითი უღვიძებს. ამ ქვეყანამ სხვებზე ადრე განიცადა თავის ცხოვრების მძიმე აშლილობა მსოფლიო ომისა და კომუნისტური მოძრაობის გავლენით, მაგრამ მალე შესძლო ამ პროცესის შეჩერება და ამის მერე ამაღლებისა და გაძლიერების გზით მიდის. თავიდან თუ ყველანი ალმაცერად უცქერდნენ იტალიის მიერ აღებულ ახალ გეზს, შემდეგ ბევრმა მისი მიბაძვა დაიწყო, ხოლო ამ ხანად მას ძველებურად აღარავინ სჯის. „ტანი“, უდიდესი გაზეთი და ოფიციოზი საფრანგეთისა, რომელიც ჯერ ხნობითდასავლეთის ყველა სხვა ქვეყნებზე უფრო დაშორებულია ფაშისტური იტალიის ახალ გეზს, ფაშისტური წყობის მეთორმეტე წლის თავზე სრულის სიმწორით და მიუდგომლობით აღნიშნავს იმ უდიდეს მიღწევებს, რომელნიც შესძინა იტალიას მუსოლინის 12 წლის მოღვაწეობამ. უდავო სინამდვილე ამარცხებს განყენებულ და ბუნდოვან საბუთებს, რომელნიც ასე ბლომად გროვდებოდა ფაშიზმის წინააღმდეგ. სახელმწიფოებრივ ნიადაგზე მდგომი მიმართულებანი თან და თან ითვისებენ იმ აზრს, რომ სახელმწიფოს ავტორიტეტის ამაღლება, მტკიცე მმართველობა და საქვეყნო ინტერესებისათვის პიროვნულ და კლასიურ ეგოიზმის ალაგმვა სახელმწიფოებრივი ძალითა და ზეგავლენით, რაც შეადგენს იტალიური ფაშიზმის უმთავრეს შინარსს, ერთადერთი გზაა თანამედროვე აშლილ და აფორიაქებულ ცხოვრების დასაწყობად, დასალაგებლად, და უფრო მტკიცე და საიმედო საფუძვლებზე დასამკვიდრებლად.

მაგრამ ასეთი ღრმა რევოლიუციის მოხდენისათვის, რასაკვირველია, საკმარისი არ არის ამისი სარგებლობიანობის შეგნება და არც სათანადო გეგმის მიღება. იტალიის ცხოვრების სიღრმეში აღმოჩნდა სათანადო მორალური ტრადიციები, წარსულ ცხოვრებათა ნაშთი და შემკვიდრეობა; მანვე წარმოშვა კიდევ ისეთი პიროვნება, როგორცაა მუკოლინი და მთელი წრე, რომელნიც გაიყენეთენ და

ეროვნული ბიბლიოთეკა

გაიმსჭვალენ ამ სულიერ ძალით და მას ხორცი შეასხეს, გონებრივი შორსმჭვრეტელობითა და გამჭრიახობით, ხასიათის სიმტკიცითა და დაუშრეტელი ენერგიით. ესაა უმთავრესი ფაქტორი თანამედროვე იტალიის აღორძინებისა, თორემ კარგი სოციალური და პოლიტიკური გეგმები წინეთაც მრავალი დაწერილა.

მსოფლიო ვითარების ასეთ ორომტრიალში მოქცეულ ჩვენს ერსა და ეროვნულ საქმეს უამრავი სიძნელე და დაბრკოლება ელობება წინ. უამრავი საფრთხე და საშიშროება; დიდი გამძლეობა, მხნეობა და სიმტკიცე სჭირიან მას და ასევე დიდი სიფრთხილე და გამჭრიახობა. მაგრამ ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის გზაზე „რა არ გადაგვხდენია თავს, გვეუბნება დიდი ილია; რა მტრები მოგვსევიან. ვაი-ვაგლახი, რა სისხლი, რა ღრჭენა კბილთა არ გამოგვივლია. რა წისქვილის ქვა არ დატრიალებულა ჩვენს თავზედ, და ყველას გაუძელით, ყველას გაუმაგრდით, შევინახეთ ჩვენი თავი, შევირჩინეთ ჩვენი ქვეყანა, ჩვენი მიწა-წყალი". ჩვენი ერი კვლავ გაუძლებს და გადაიტანს ამ ახალს განსაცდელს. ამის საწინდარია ის საამაყო მხნეობა, სიმტკიცე და გამძლეობა, რომელსაც იჩენს ჩვენი ერი მიმდინარე ბრძოლის გზაზე. მართალია ამ ბრწყინვალე ბრძოლის გზაზე, აქა იქ შავი წერტილებიც სჩანს, მაგრამ საბედნიეროთ ეს მას ვერ წაშლის და ვერ დაჰფარავს. ამიერიდან ჩვენ გვაქვს სრული უფლება აღვიაროთ, რომ ყველაზე უფრო დიდს ასეთს შავ ლაქს წარმოადგენს ჩვენი ემიგრაცია. მისი დაცემისა და დაქვეითების პროცესი მეტად ღრმად წავიდა ამ უკანასკნელ წელთა განმავლობაში. ყოველივე სხვას რომ თავი დავანებოთ, ამის საკმაო ნათელ სურათს იძლევა ის, რაზედაც ბ. დ. ვაჩნაძე მოგვითხრობს ქვემოდ. ჩვენს ერს მხოლოდ ორი პოლიტიკური გამოცემა ჰქონდა ნახევარი საუკუნის წინეთ და ამ ორგანოებში კარგად თავსდებოდა ჩვენი მაშინდელი ცხოვრების ჭირ-ვარამი, აზრი და ფიქრი. ექვსიოდე პოლიტიკური გამოცემა მოეპოვება ქართველ ერს მისი დამოუკიდებელი არსებობის ხანაში, და ამ ორგანოებში ეტყოდა ჯერ კიდევ დაულაგებელი, თავმოუყრელი, აშლილი და ძალზე გართულებული ცხოვრების ყველა ნაკადები და მიმდინარეობანი. ხოლო სამშობლო მიწა-წყალსა და მის რეალურ ცხოვრებას დაშორებულ ერთ მუჭა ემიგრაციას, ორასოდე მის მკითხველს დაარსებული აქვს **ცამეტი პოლიტიკური გამოცემა!** ყველა ამ გამოცემებს ამშვენებს მაღალ-მაღალი ლოზუნგები, ინტერნაციონალური, სოციალური, პროლეტარემო ყველა ქვეყნისა შეერთდით. ინტეგრალური პატრიოტიზმი, წმინდა წყლის ნაციონალიზმი, ერი და სამშობლო, სამშობლო და ერი. ხოლო შინაარსი მათი დამუდმივი საქმე სხვა რა უნდა გამოიძებნოს ამდენი გამოცემის ასაკსები თუ არა პირადული და ჯგუფური ზრახვებით ემიგრაციის ყოველ-დღიური ჭუჭყისა და სიმყრალის გამომზეურება. საქვეყნოდ გამოფენა, მასში მუდმივი ხელის ფათური, და ყოვე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლივე ეს, რასაკვირველია, საქართველოს დროშის, მებრძოლი ერის სახელით! სხვა რა კეთილ მიზანს უნდა მიაღწიოს ასეთმა პრესსამ გარდა ერთად-ერთისა—შენც წახდი, მეც წამახდინე, ქრისტე აღსდგა ბიზანტიელს!

ქართული ემიგრაციის დარღვევის პროცესი აჩქარებული ტემპით მიმდინარეობს და ნუ თუ მასში აღარ მოიპოვება მცირე წრე, მცირე ჯგუფი მაინც, რომ ახდილად და გაბედულად გადაეღობოს ასეთს პროცესს? ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ ქართველი ერი ამ დიდ განსაცდელსაც დაიღწევს თავს. ნუ თუ ემიგრაციას არ უნდა გადარჩეს ისეთები, რომელთაც შეეძლებათ, თავის სამშობლოში დაბრუნებულთა, თამამად და გაბედულად წარდგომა მშობელი ერის წინაშე? ნუ თუ ქართული ემიგრაცია ერთსულოვნად ურიგდება ისეთ პერსპექტივას, როდესაც ჩვენს ერს სამართლიანი უფლება ექნება სამშობლოში დაბრუნებულ ემიგრაციას თვალებში ჩაფურთხოს და უთხრას — მძიმე განსაცდელთა ჟამს, მე შენზე დიდს იმედებს ვამყარებდი, შენგან შველასა და დახმარებას მოველოდი; ამის ნაცვლად, შენ დაეცი, გათახსირდი და მით შელახე ქართული სახელი და ქართული ღირსებაო. ემიგრაციის ცამეტ გამოცემას ხუთმეტ პარტიას და დაჯგუფებას და ოცდახუთმეტ ამათ ლიდერს არასოდეს არ უნდა ავიწყდებოდეს მათი ნამოღვაწარის ეგზომ მშვენიერი და სასახელო მიღწევა და დაგვირგვინება.

ალ. ასათიანი.

30453

ქართული სამხედრო სკოლა

მიმდინარე წლის სექტემბრის ხუთს, შესრულდა მეხუთმეტე წელი ქართული სამხედრო სკოლის დაარსების დღიდან. სამხედრო სწავლის დამკვიდრებისათვის, ისიც სრულიად ახალს საფუძველზე, ხუთმეტი წელიწადი ფრიად მცირე მანძილია. ქართულ სამხედრო სკოლას სჭიროდა არა მარტო მოსწავლეთა მორიგ ფენის აღზრდა და გაწვრთნა მხედრულ საქმეში, არამედ თვით მასწავლებელთა გამონახვა, და თვით მათი გადაყვანა ქართული მხედრული საქმის ნიადაგზე, ქართული სამხედრო სწავლის შექმნა, ქართული მხედრული გაწვრთნის წესების გამომუშავება, სამხედრო საქმის სწავლაში ქართული სულის შეტანა, წარსულ დროთა ქართულ მხედრულ მემკვიდრეობის გამოძახება და ახალი სწავლის ამ ძველ ძირებზე დამკვიდრება. ხუთმეტი წელი მცირე დროა ყოველივე ამისათვის, მაგრამ ქართული სამხედრო კოლა ხუთმეტი წელიწადი კი არ არსებულა, არამედ მხოლოდ ხუთმეტი თვე. ასეთი იყო სკოლის არსებობის მანძილი მისი

საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ეროვნული ბიბლიოთეკა

დაარსებიდან საბჭოთა რუსეთის შემოსევამდე. და ქართულ სამხედრო სკოლის დაარსების 15 წლის თავი შეეხება სწორედ ქართული სკოლის არსებობის ამ ხუთმეტიოდე თვეს. რასაკვირველია ასეთს ვადაში სკოლა ვერ მოგვცემდა ჩვენ სამხედრო საქმის ახალს სარდლობას, ახალს სპეციალისტებს. ხუთმეტი თვე საკმაო თუ არის იმისთვის, რომ ჯარისკაცი აღზარდოს და არა სარდალი. ქართული სკოლის ხანმოკლე არსებობის დიდი ღვაწლი და დამსახურება სწორედ იმაშია, რომ თუ მან ვერ მოასწრო დაემზადებინა ახალი ქართველი სარდლები, მან შესძლო ეჩვენებინა ქართველ ერისათვის, ქართულად აღზრდილი ჯარისკაცის მაღალი ხარისხი და ღირსება. სამხედრო სწავლას რომ დაძლევენ ქართველი ახალგაზდანი, როგორც სწავლის სხვა დარგებს, ეს საეჭვო არავისთვის იქნებოდა. უფრო გამოუცნობელი იყო ქართული ჯარის ღირსება-ნაკლულევანობა, როდესაც ის ახალს, წშინდა ქართულ ნიადაგზე ეწყობოდა. შორეული წარსულის თუ რუსეთის ბატონობის ხანის ცნობები ბევრ რამეში მოითხოვდენ ჩვენ ახალს დასტურსა და შესწორებებს. ჩვენი დამოუკიდებლობის ხანაში გვყავდა ჯარის ერთეულები, მაგრამ შეიძლება ერთათ ერთი სამხედრო სკოლა იყო, რომელმაც შესძლო თავის მოწაფეთათვის მიეცა ის მხედრული გაწვრთნა, რომელსაც საჭიროებს კარგად აღზრდილი ჯარისკაცი. ამის მეტად მიღებულ სწავლის გაგრძელება არ ღირსებია ქართველ იუნკრებს, კარგად აღზრდილ ქართველ ჯარისკაცის ყოველი საუკეთესო ღირსებები მათ სრულად გაამჟღავნეს სამხედრო სკოლის ხანმოკლე არსებობის დროს. ქართველმა იუნკრებმა დაანახეს ქართველ ერს, თუ რას წარმოადგენს ქართველი მხედრობა, უკეთუ ის სწორსა და მტკიცე საფუძვლებზე აშენდება. ტაბა - ხმელამ დაუმტკიცა ყველას თანამედროვე ქართველობის იგივე დიდი მხედრული ღირსებები, რომელიც ასე ამშვენებდა საქართველოს დიდებულ წარსულს. ქართველ იუნკერთა შემადგენლობის ნახევარი შეეწირა ამ სახელოვან დემონსტრაციას და ვისაც საქართველოს მომავალი სწამს, ის ადვილად გაიგებს თუ რა დიდი მნიშვნელობა ექნება მომავალ ქართველ სამხედრო ძალის დაფუძნებისათვის ქართველ სამხედრო სკოლის ხანმოკლე ისტორიას, მის იუნკერთა მძიმე ბრძოლებს, მძიმე მსხვერპლს და სამხედრო მაგალითს. სამშობლოსათვის დაღუპულ სამხედრო სკოლის იუნკრებსა და მათ მასწავლებელთ დიდება და საუკუნო ხსოვნა, ხოლო ცოცხალთ გამარჯვება და სასახელო მომავალი.

მხედარი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართული ემიგრაცია და მისი პრესა

ცნობილი დიოგენი ფარნით ხელში, დღისით, მიადგა ბერძენთა აეროპაგში, მართველ ხალხს სათითაოდ უნათებდა პირსახეს და მერმე თავის ქნევით შორდებოდა. ჰკითხეს: „ვის დაეძებ აქ დიოგენო?" „ამ ჩვენ ბრძენთა წრეში ადამიანს დავეძებ, ადამიანს... ხალხი კი არი, მაგრამ ადამიანი ვერ მოვნახე"-ო უპასუხა დიოგენმა.

ახლა „დიოგენის ფარნით" მიადექით მრავალრიცხოვან ქართულ ჟურნალ-გაზეთობას, რომელიც ქ. პარიზში იბეჭდება და ერთი ნამდვილი საერო ქართული გაზეთი მონახეთ?

ქართული პოლიტიკური პრესა საზღვარ-გარედ ოღონდაც რომ გვაბადია, მაგრამ ქართულ ეროვნულ სახის გამომხატველი ორგანო კი არა.

300-იოდე ქართველ მკითხველს (თუ ეს რიცხვი გადამეტებული არაა) გამუდმებით ურიგდება ათამდე სხვა და სხვა ქართული პერიოდული გამოცემა: პარტიული, ფრაქციული, ჯგუფური და პიროვნული. გულმოდგინეთ გადასინჯეთ ამ უკანასკნელ წლების მათი შინაარსი; თქვენს მტერს: დაუსრულებელი დავა დოქტრინების გარშემო, შეჯახება პარტიული, ფრაქციული და პიროვნული თავდასხმები. ერთი სიტყვით-ჩხუბი და კრიე. ამ სადავო-დარაბო მიწერ-მოწერაში თუ წაიწყდებით დამშვიდებულ ნაწერს, ხშირად ისიც ჯგუფურ-პიროვნულ ტრაბახითა და თავმომწონე თამადურ წყლიან ფრაზეოლოგიითა გატენილი. იშვიათად თუ მონახავთ მათ ფურცლებზედ სასარგებლო ცნობებს თუ გამოკვლევებს საქართველოს მდიდარ წარსულიდან (რომლის ცოდნა ყველას ასე გვაკლია), დალაგებულ აწონ-დაწონვას საქართველოს დღეგანდელ ყოფა-მდგომარეობისა, მისი მომავლის გონიერ განსჭვრეტის ცდას... აბა დაითვალეთ რა ჯანი, რა ფული, რამდენი მძიმე ემიგრანტული წლები დაახარჯა დამშეული ერთი მუჭა ქართველობამ საზღვარ-გარედ ამ თავის „ბეჭდვითი საქმეს" და რა შედეგებს მიაღწია?

სამხრეთ საფრანგეთის ერთს ქალაქში, სადაც რამოდენიმე ათეული ქართველი ბინადრობს, ერთი იქაურ ქართველის ბინაზედ ჩემს მეგობარს თახჩაზე დალაგებული ახალ-ახალი ქართული გამოცემანი შეუმჩნევია... ხუმრობით ჰკითხა: „კაცო, რა სუფთად შეგინახია ჩვენი ჟურნალ-გაზეთები; ალბათ არც კი წაგიკითხავს". —არ შემცდარხარ, ჩემო მეგობარო, — უპასუხა მან — „უცხოეთში ნაბეჭდ ქართულ ჟურნალ-გაზეთებს კი ვღებულობ და ვინახავ კიდეც, მაგრამ ალარა ვკითხულობ... არც ჩემი მიმართულებისას და არც სხვისას; ან რა უნდა წავიკითხო? წლიდან-წლობით ერთი და

ეროვნული ბიბლიოთეკა

იგივე დაღეჭილ - გადაღეჭილი, ზერელა თეორიული დავები, ერთმანეთის თრევა შეზავებულ თუ ჯგუფურ თავმომწონე პრაჭჭიაობით. არავითარი საზრდო სულისა თუ გულისათვის. მირჩევნია ფრანგულით ვისაზრდოვო. და აკი აქაური ქართველობა, ამ მხრივ, მთლად გაფრანგების გზას დაადგა და ქართულ ნაბეჭდს ალარ ეკარებიან. . ვაი ჩემს თავს, თუ ეს ნაწერები საქართველოდის აღწევენ, წარმოდგენილი მაქვს, თუ რა შთაბეჭდილებას სტოვებენ იქ... საზარელს!.. ეს წრფელი გამოძახილია პატიოსან ქართველი მკითხველისა, — ეი ერთი სამწუხარო შედეგთაგანი პარიზის ქართულ პრესის „ღვაწლისა.

ეხლა ვიანგარიშოთ ამ ქართულ ემიგრანტულ პრესის ზეგავლენა პატარა ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებრივ ცხოვრებაზე. ქართულ საზოგადოების მცირე ძალია დაგროვების მაგიერ, დაქუცმაცებული ქართული პრესა, „საკუთარ სამრეველოს“ მიმართულებათა მატარებელი, ნამდვილად თავისი მაგალითით და გავლენით ქართულ საზოგადოების დაშლას ემსახურება. ამ ბოლო ხანებში, სულ ანაზღეუულად, ჩვენს სარბიელზედ უცნაურმა ორგანიზაციებმა სოკოებსავით თავი ამოჰყვეს — მიხედვით: წლოვანებისა, წოდებრივობისა, პროფესიებისა და სხვა. ამ ახალ ქართულ „ატომებში“, თითოში ათ კაცზე მეტს ვერ დასთვლით (წესდების დამტკიცების შემდეგ ეს რიცხვი 3 - 4 წევრამდე ჩამოდის); მხოლოდ ზოგ მათგანს, არც საღსარი, არც უნარი, არც მიზნის გაგება შესწევთ. კმაყოფილდებიან იმით (ცხადია, ორიოდე კაცის თავმოყვარეობა), რომ „თავისი ორგანიზაცია“ აბადიათ.

ეს დაქუცმაცების ჭირი კაი ხანია მოედო ჩვენს ემიგრანტულ წრეებს და ამის წყალობით ვეღარ მუშაობენ ჩვენი ძველი მთლიანი და საერთო ქართული დაწესებულებანი (ქართული ასოციაცია, ავადმყოფთა დამხმარე კომიტეტი, საეკლესიო საზოგადოება და სხვა), ჩვენდა სავალალოდ დღემდის ვერ მოეწყო, ვერც ერთი საერთო ქართული კულტურული საქმე (წიგნსაცავი - სამკითხველო, ჭართული გამომცემლობა, ქართული კულტურის შესწავლის წრე და სხვა ამგვარი), რადგან ქართულ პრესის პოლიტიკანობამ გააფუჭა ხალხი. ჩვენს დღევანდელ ვითარებაში სამი ქართველი ისე ერთმანეთს ვეღარა ხვდება, რომ—ერთი მათგანი დანარჩენ ორთან გამწყრალი არ იყოს, ან და „დაყოფვის“ სენით მოწამლული არ გაუწყრეს მათ უბრალო მეგობრულ მუსაიფის დროს. მახსენდება თბილისში, ბერლინიდან ჩამოსულ (1917 წ.) ჩემი მეგობარ მ. წერეთლის პასუხი ჩემს შეკითხვაზედ, თუ როგორ არიან და რას აკეთებენ ქართველი ემიგრანტები, ასეთ დიდ ხანაში ევროპაში ?

„ძმაო გამოგიტყდები... რა უნდა აკეთონ, როცა ყოველი ქა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რთველი გიჟია, ან და ხვალ გაგიჟდება! ნუ იცინი... ღმერთი, რჯული მართალს ეუბნები. მერწმუნე, რომ ყველა ვისაც ვიცნობ, საგიჟეთის წევრია, მარა ჯანდაბაა, როცა ათიოდე ქართველი ვერაფერში მორიგდნენ და ყველას თავის თავი ჰინდენბურგად ან ლიიდ-ჯორჯათ მოაქვს რა ცალ-ცალკე გაიძახიან: მე... მე ვაკეთებ... მე გავაკეთებ... ჩემი მიმართულება... ჩემი აზრი... ამ საგიჟეთში რა უნდა გაკეთდეს"?.. მაშინ მე ცხარედ წავედავე მიხ. წერეთელის მიერ ემიგრანტ ქართველების ასე სასტიკ შეფასებას; მაგრამ 17 წლის შემდეგ, მე თვითონ ემიგრაციაში ჩავარდნილი და ახლანდელ ჩვენი სინამდვილის მოწმე, მართლა ვრწმუნდები, რომ მიხ. წერეთელი არც ისე სცდებოდა. სჩანს ქართველობას დღემდის ყველგან სდევნის, მრავალ დაწუწილ-დაყოფილ საქართველოს ისტორიის წიაღიდან გამომდინარე, ძველი ფსიხიური სენი, გადაჭარბებულ ინდივიდუალიზმისა. შეკაზმულისა კუთხურ-პროგვნულ ეგოიზმითა და თავმოყვარეობითა, ეს უნდა იყოს თესლიც ახლანდელ ქართული „სიგიჟისა"!

აქ თვალწინ მეშლება ტლანქი, საზარელი ძველი სურათი ქართულ პროვინციების თუ კუთხეთა მეთაურების ერთმანეთზე აშლილა, თავდასხმებისა, ღალატისა, გაცემისა და ინტრიგებისა... მეძნელება ჩვენი ისტორიის ამ ბნელ ფურცლების გახსენება, მით უფრო ჩვენს ხანაში, როდესაც დროთა მანძილზე ეს ძველი, მწარე ამბები ჩაილური წყალსა გაჰყენენ... მაგრამ რითი გნებავთ ახსნათ თანამედროვე ქართველების ასეთი უგონო ქცევა თუ არა ატავისტური მოვლენით?

რითი უნდა ავხსნათ, მაგალითად, რომ ათიოდე მამულიშვილი ქართველი მწერალ-ჟურნალისტი ემიგრაციაში, რომელთაც ყველას ერთი მიზანი აქვთ დასახული — სამშობლოს დახსნა მტარვლის კლანჭებისაგან, იმის მაგიერ, რომ შეერთებულად, ერთი მაგარის წყობით საერთო მტერს შეუტიონ — გადმომდგარან და ათი გაზეთის სვეტებიდან ერთმანეთს ქვა და გუნდს აყრიან?! ან და რითი ახსნით იმ მოვლენას, რომ რამოდენიმე ასეული პირისაგან შემდგარ ქართულ ემიგრანტულ საზოგადოებას, თითქმის ერთი მეორის გამამათილებელი 15 უძირო ორგანიზაცია ამშვენებს (მზადდება კიდევ ახლების-დაარსება), და მათი დიდი თუ პატარა მეთაურნი ისტერიულად დღემდის გაიძახიან: ჩემთან დგომა... ჩემი დროშა... მე და ჩემს გარშემო... იმის მაგიერ, რომ ქართველების ძალების დაგროვებას ეცადონ, არა „ჩემის" გარშემო, არამედ გარშემო საერთო ქართული იდეებისა: ქართულ კულტურისა და ქვეყნის განთავისუფლების საკითხებისა?

„ჩემიანობის" ავადმყოფობა ეხლა ერთ ნაწილ ქართველ ახალგაზრდებსაც მოედო, რომელნიც, უფროს თაობით უკმაყოფილონი,

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოსთხოვენ მას „გზიდან მოცილებას“ და მათი „წინ გაშვებას“. საბუთად მეტრიკას (წლოვანობას) ადგენენ. ალბათ ესეც ქართული ინდივიდუალიზმის ნაკადის ახალი ორიგინალური ვერსიაა. ნაცვლად ჭკუისა და საქმის ნაყოფისა, ეს პირები, საზოგადოებრივ მუშაობის წეს-რიგში, ახალგაზრდულ კუნთების და მკლავების საბუთს აყენებენ. საერთოდ ქართული სათვისტომოს დაშლის პროცესი ისე შორს გაექანა და ისეთი გაბოროტებული სახე მიიღო, რომ ადამიანი აღარაფერს ერიდება. ფარულად და ახდილად ზოგი ერთი მოქიშპე პასუხისმგებელ პოლიტიკურ მოღვაწეებმა უცხოელი გამოცემები (განსაკუთრებით რუსული ენისა) საარბიტრაჟო დაწესებულებად გაიხადეს და დრო გამოშვებით მათ ფურცლებსა ქართული დავის და შინაურ აყალ-მაყალის ნაგვითა ავსებენ.

აი ასე ამღვრეულია ქართული ემიგრანტული შინა ვითარება, მის ლტოლვილობის მე-14 წლის დასაწყისში. ვიმეორებ, ამაში უდიდესი წილი უდევს პასუხისგების გრძნობა დაკარგულს, ხელოვნურად გამრავლებულს, აშლილ-დაწლილ ქართულ პოლიტიკურ პრესას და მის ზოგი ერთ მოღვაწეთა და ხელმძღვანელ ეგოისტურ მავნე გავლენას.

მისივე წყალობით, ჩვენი, შედარებითი კულტურული ქართული საზოგადოება, მთლად ჩავარდნილია მღვრეგვ მორეგში და იძირება. ყოველ გვარი საქმიანობა შეჩერდა. ძველი ქართული ზნეობა და რაინდული ყოფა-ქცევაცა ჰქრება... და „ევროპიელდება“ იმ დარგებში, რომელსაც, საზოგადოთ, არც ევროპაში და არც აზიაში, არც პიროვნულად, არც ეროვნულად, არასოდეს და არავისათვის კაი სახელი არ მოუხვეჭია.

დ. ვაჩნაძე.

მოტას სიტყვა, წარმოთქმული ერთა ლიგაში.

პოზიცია, რომელიც დაიკავა შვეიცარიის ფედერალურმა საბჭომ საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების საკითხის გამო, ყველასათვის ცნობილია. ერთნი აკრიტიკებენ მას, მეორენი იცავენ; იგი ეწინააღმდეგება აქ წარმოდგენილ დელეგაციათა უმრავლესობის აზრს და განსაკუთრებით სამ დიდ სახელმწიფოთა განზრახვებს. ამიტომ შვეიცარიის კონფედერაციის პოზიცია უნდა იქნეს აქ ახსნილი და დასაბუთებული. მე შევეცდები ეს ვქნა იმ ზომიერებით და თავდაჭერილობით. რომელნიც უზრუნველყოფენ საბუთების დამარწმუნებლობას: მაგრამ ამავე დროს ვილაპარაკებ იმ სრული გულ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ახდილობით, რომელიც შეადგენს ჩვენს მოვალეობას ურთიერთის წინაშე.

შვეიცარია ერთად ერთი ქვეყანაა, რომელიც ერთა ლიგაში შეევიდა პლებისციტის, ე. ი. მთელი ჩვენი ხალხის და კანტონების ხმის მიცემის გზით. ამ არსებითი საკითხის ირგვლივ გამართული ბრძოლა იყო ერთი ყველაზე უფრო სადაო და ენებათა ღელვის გამომწვევი ჩვენი ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე. ფედერალური მთავრობა ჩაება ამ ბრძოლაში მთელი თავისი ავტორიტეტით და მძ
 ხმა გაგონილი იქმნა. ერთა ლიგის დამაარსებლებმა ჩვენ გამოგვიცხადეს ნდობა ჟენევის არჩევით ახალი დაწესებულების რეზიდენციად. ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის აფასებდა და აფასებს ამ დიდ პატივისცემას. იმ ფაქტს, რომ ერთა ლიგა იმყოფება ჩვენს ტერიტორიაზე, სხვათა შორის ის დადებითი მნიშვნელობა ქონდა, რომ მან ჩვენი საზოგადოებრივი აზრი უფრო მეტად მიაპყრო ერთა ლიგის მუშაობისა და მოღვაწეობისაკენ, ვიდრე სხვა ქვეყნებში. დაწესებულებათა სიახლოვე თითქმის ყოველთვის აძლიერებს მათდამი ინტერსს.

ჩვენ ყოველთვის უნივერსალობის მტკიცე მომხრენი ვიყავით; ჩვენ ეს დავამტკიცეთ ჩვენივე მოქმედებით. მე რომ უხერხულობას არ ვერიდებოდე, გავიმეორებდი ჩემს ნათქვამს და მოგაგონებდით, რომ ჩემს სიტყვაში 1920 წ. 20 ნოემბერს — ჩვენს პირველ საზეიმო კრებაზე — მე პირდაპირ მოვიხსენიე რუსეთი და გამოვთქვი სურვილი, რომ მას, განკურნებულს თავისი გატაცებისა და თავის ვაეებებისაგან მიემართა ერთა ლიგისათვის და ეპოვა მისგან საჭირო დახმარება აღდგენისათვის.

შვეიცარიის მთავრობას, ოომელიც აღჭურვილია რუსის ხალხისადმი მეგობრული სურვილებით, არ სურდა ეცნო იქ არსებული რეჟიმი — დე-იურე; მან გადასწყვიტა დარჩენილიყო ამ არცნობის და ლოდინის პოზიციაზე. ჩვენი მისია პეტერბურგში დარბეულ იქნა 1918 წელს და ერთი მისი მოხელე მოკლული. ამის გამო — მათგან არას დროს ბოდიშის მსგავსი რამეც კი არ გვსმენია. 1918 წელში, როდესაც საერთო გაფიცვის ცდამ, სამოქალაქო ომის საშინელებაში კინაღამ გაგვხვია; საბჭოთა მისია, რომელსაც ჩვენ მანამდე ვითმენდით ბერნში, განდევნილ იქნა შეიარაღებული ძალის საშუალებით, ვინაიდან ის აგიტაციაში მონაწილეობას იღებდა.

როგორც კი მიმდინარე წელს, დიპლომატიურ წრეებში, საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში მიღების შესაძლებლობის შესახებ ლაპარაკი დაიწყეს, ფედერალურმა საბჭომ ყოველივე ყოყმანის გარეშე ამცნო პარლამენტს, რომ ის თანაგრძნობით არ უცქერის ამ წინადადებას. — და მართლაც, ამ საკითხზე დადებითი პასუხი იქნებოდა —დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენა—იურიდიულათ თუ არა,

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფაქტიურათ მაინც. ასეთ რამეზე ლაპარაკიც კი არ შეიძლებოდა. ფედერალურმა საბჭომ, რომელიც ასე ხანგრძლივათ სიფრთხილეს იჩენდა, იმ მომენტში დადგენილების გამოტანისაგან თავი შეიკავა —მანამდის, სანამ სათანადო საჭიროება არ მოითხოვდა მისგან კატეგორიულათ ეთქვა: „არა“ — თუ თავი შეეკავებია. უკანასკნელი კი იქნებოდა შერბილებული ფორმით „უარის“ თქმა. მას შემდეგ და იმის მიხედვით, რაც საბჭოთა კავშირის მხრივ ერთა ლიგასადმი მიმართვის შესაძლებლობა ახლოვდებოდა და ძლიერდებოდა, ჩვენი საზოგადოებრივი აზრი დიდის ინტერესით მიუდგა ამ საკითხს. მე ქვევით აგიხსნით, რისთვის და როგორ გამოიხატა ეს საზოგადოებრივი აზრი, მაგრამ უწინარეს ყოვლისა გთხოვთ ნება დამრთოთ აგიხსნათ მისი არსება და მნიშვნელობა.

ჩვენი საზოგადოებრივი აზრი ყოველთვის თავისუფალია. იგი ამავე დროს უშუალოა. ჩვენში პრესის სრული თავისუფლებაა. ფედერალური საბჭოსთვის არც კი არსებობს ოფიციოზური პრესის მცნება. მაღლიდან არ მოდის არც ზეგავლენა და არც დირექტივები. ამავე დროს ჩვენში არსებობს ყოველგვარი პატრიოტული კავშირები, რომლებიც ანვითარებენ და ინახავენ მოქალაქობრივობის სულს. რომ სხვანაირათ ყოფილიყო, ჩვენ არ ვიქნებოდით ის დემოკრატია, რომელიც ვართ. ჩვენი დემოკრატიით ჩვენ ვამაყობთ. ის არის ჩვენი არსებობის ერთი რეზონთაგანი. არ არის დემოკრატია. — შეეცარიაც არ არის. მაშასადამე, თუ დიდმნიშვნელოვან საკითხის გამო, — პრესსა და პატრიოტული ასოციაციები, განურჩევლათ პარტიებისა, რაიონებისა და ენებისა, დიდის უმრავლესობა ერთდაიმავე აზრს გამოთქვამენ, ეს იმას ნიშნავს, რომ ჩვენ ვიმყოფებით—ნათლათ—გამოთქმულ ეროვნულ ნების წინაშე. მთავრობამ მას ანგარიში უნდა გაუწიოს. ის ასე უნდა მოიქცეს მით უმეტესს, თუ მისსა და საზოგადოებრივ აზრს შორის თანხმობა არსებობს. ასეა ამ შემთხვევაში.

აი როგორ ისმება ჩვენს წინაშე საკითხი საბჭოთა კავშირის ერთა ლიგაში დაშვების შესახებ, თუ მხედველობაში მივიღებთ— რაც მთავარია, და მეორე ხარისხოვანს კი უკუვაგდებთ. იმ რეჟიმმა და მთავრობამ, რომლის დოქტრინა და სახელმწიფოებრივი პრაქტიკა არის ექსპანსიური და მებძოლი კომუნიზმი, შეასრულა აუცილებელი პირობები, რომელნიც საჭირონი არიან მისი ჩვენს შორის დასაშვებათ? არ შეეწინააღმდეგნ ჩვენი წესდების არც შესავალზე და არც მის ცალკე მუხლებზე. შემეძლო ამომკიოფა აქედან მეტათ მაგარი საბუთები, მაგრამ ეს მიმაჩნია მეორე ხარისხოვნათ შედარებით წესდების ძირითად პრინციპებთან, მის პირველ მიზანთან — ყველა იმასთან, რაც მასში არ არის გამოთქმული, რადგან ის იმდენად ბუნებრივია, რომ თავის თავად იგულისხმება.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ეს კომუნიზმი არის ყველა დარგებში—რელიგიურში, მორალურში, სოციალურში, პოლიტიკურში—უაღრესათ რადიკალური უარყოფა ყველა იმ იდეების, რომელსაც ჩვენ ვეყრდნობით და რომლებითაც ჩვენ ვცხოვრობთ. მრავალმა სახელმწიფომ კომუნისტების პროპაგანდაც კი აკრძალეს და ყველანი მას თვლიან სახელმწიფოებრივ დანაშაულათ, როგორც კი ისინი თეორიიდან მოქმედების სარბიელზე გადადიან. საბჭოთა კომუნიზმი ებრძვის რელიგიურ იდეას და ყველა ფორმის სულიერ მოძღვრებას. ლენინმა რელიგია ოპიუმს შეადარა; სინდისის თავისუფლება მხოლოთ მოჩვენებაა. კულტის მოსამსახურეთ და მათ ოჯახებს ჩამორთმეული აქვთ სასურსათო ბარათები. ეკლესიები დაკეტილია და დანგრეული. მოსკოვში იყო 500 ეკლესია და სამლოცველო. ახლა არის 40. მთელ მსოფლიოს ქრისტიანული ეკლესიები საშინლათ განიცდიან იმათ დევნას, ვინც იქ ქრისტეს სარწმუნოებას მისდევს. ეგრეთ წოდებულმა პეტიციამ წამებულების შესახებ შეჰკრიბა შარშან შვეიცარიაში 200.000-ზე მეტი ხელის მოწერა.

კომუნიზმი ხარწნის ოჯახს. აუქმებს კერძო ინიციატივას და კერძო საკუთრებას. მიმართავს შრომის ისეთ ფორმებს, რომლის გარჩევა ძნელია იძულებითი მუშაობისაგან. რუსეთში მძინვარებს საშინელი რისხვა სიმშილისა და სრულიათ მიუდგომელი მეთვალყურენი თავის თავს ეკითხებიან—არის ეს სიმშილი შედეგი ბუნებრივი მიზეზებისა, თუ ძირითადათ უკუღმართ ეკონომიურ და სოციალურ სისტემისა? მაგრამ კომუნიზმის ყველა ეს განსხვავებული თვისებები, რომელთა ობიექტურათ აღნუსხვას მე ვცდილობ, კიდევ არ იძლევიან საკმაო წარმოდგენას რუსულ კომუნიზმზე. საჭიროა მათ დავუმატოთ კიდევ ერთი არსებითი და უაღრესი თვისება, რომელიც მას საბოლოოთ ყოფს შეუთავსებლათ საერთაშორისო ურთიერთობის ერთ ფრიათ საჭირო და საყოველთაოთ მიღებულ პრინციპთან. რუსული კომუნიზმი ცდილობს დამკვიდრდეს ყოველგან. მისი მიზანია მსოფლიო რევოლიუცია. მისი ბუნება და მისწრაფებაა, პროპაგანდა აწარმოოს თავის ქვეყნის გარეშე. მისი სასიკეთლო კანონია ექსპანსია, რომელიც სცილდება მის პოლიტიკურ საზღვრებს. თუ კომუნიზმი ამაზე უარს იტყვის, ის უარყოფს თავის თავს, თუ არ უარყოფს, ის ხდება ყველასი მტერი, რადგან იგი ემუქრება ყველას. შემეძლო ადვილათ დამდასტურებია ყოველი ჩემი ნათქვამი ბოლშევიკურ ოფიციალურ ლიტერატურიდან ამოკრეფილ ნამდვილ ტექსტებით, მაგრამ არ შეგაწუხებთ არა საჭირო ციტატებით. სიტყვა ეხება უდავო ჭეშმარიტებას...

ვიცი, რას მიპასუხებენ ამაზე: ლაპარაკობენ კომუნისტური პარტია და ბოლშევიკური სახელმწიფო არ უნდა აურიოთ ერთმანეთშია.

ეგ არ არის პასუხი. ბოლშევიკური სახელმწიფო, რუსული კომუნისტური პარტია და მის მიერ შობილი მესამე ინტერნაციონალი, წარმოადგენენ ერთ მთელს. ბოლშევიკური სახელმწიფო დაარსებულ იქმნა კომუნისტურ პარტიის პროგრამის ცხოვრებაში გასატარებლათ. ლენინი თავის პიროვნებაში აერთებდა სახელმწიფოს მეთაურს და პარტიის მეთაურს. ახლანდელი გენერალური მდივანი ფორმალურად არ არის სახელმწიფოს მეთაური, მაგრამ ნამდვილად კი მისი პატრონია. სახელმწიფო და პარტია განუყოფელნი არიან. პარტია ბრძანებლობს, სახელმწიფო ასრულებს.

არის მეორე უფრო მნიშვნელოვანი მოსაზრება. მე მინდა ჯერ მოგახსენოთ ის და შემდეგ განვიხილო.

საბჭოთა კავშირი შეადგენსო—მეტყვიან—ვებერთელა ტერიტორიას 165 მილიონი მცხოვრებით. საშიში იქნებოდა ანგარიში არ გაგვეწია და განზრახ გაგვერიყა ისეთი სახელმწიფო, რომელიც მიბრუნებულია ერთი მხარით აზიისა და მეორეთი ევროპისაკენ და რომელიც—ასე ვთქვათ—ორი კონტინენტის ჯვარედინზე მდებარეობს. ერთა ლიგა წარმოადგენს საერთაშორისო თანამშრომლობის მხოლოდ ერთ ახალ ფორმას; ის არის არა ზნეობრივი დაწესებულება, არამედ პოლიტიკური ასოციაცია, რომლის მიზანია განსაკუთრებით და უპირველეს ყოველისა ხელი შეუშალოს ომს და დაიცვას ზავი. თუ რუსეთის მიღებას შეუძლია ხელი შეუწყოს ზავის საქმეს, ჩვენ უნდა შევეწყოთ ამ გარემოებას, მიუხედავთ ყოველივე შიშისა, ეჭვებისა და ზიზღისა, რასაც განიცდიან მრავალი მთავრობები. არავის არ ეკრძალება იქონიოს იმედი, რომ საბჭოთა რუსეთის მუდმივი თანამშრომლობა სხვა სახელმწიფოებთან ერთა ლიგის წიაღში ხელს შეუწყობს ყველასათვის და უპირველეს ყოველისა თვით რუსეთისათვის კეთილმყოფელ ევოლიუციას.

თქვენ სამართლიანათ გეტოშებოდათ, ქალბატონებო და ბატონებო, მე რომ ასეთი შეხედულება მივიჩნიო ყოველივე ღირებულებას მოკლებულათ. საფრანგეთის, დიდი ბრიტანეთის და იტალიის მთავრობებმა უკვე ამცნეს ანალოგიური მოსაზრებანი ფედერალურ საბჭოს ჩვეულებრივი დიპლომატიური საშვალებით, ე. ი. ბერნში, მათი წარმომადგენლების პირით. ჩემსა, როგორც ფედერალური პოლიტიკური დეპარტამენტის შეფსა და მათ შორის მოლაპარაკება მიმდინარეობდა მეგობრულსა და ნდობის ატმოსფერაში. მე ერთ-ხელაც არ მიმიღია შთაბეჭდილება ზეგავლენის, თუნდაც არაპირდაპირის და ყოველივე გაუგებრობის თავიდან ასაცილებლად საჭიროთ მიმაჩნია განვაცხადო ეს აქ.

მაგრამ თუ გავიგეთ თვალსაზრისი სხვა სახელმწიფოების და განსაკუთრებით დასახელებულ სამ დიდ სახელმწიფოსი, ჩვენ მაინც

ეროვნული ბიბლიოთეკა

იძულებული ვიყავით სხვა პოზიცია დაგვეკავებია. ისეთი სახელმწიფოს, როგორიც შვეიცარიაა, რომელსაც არ შეუძლია და არც უნდა ითამაშოს როლი დიდ პოლიტიკაში, აქვს—და ეგ ბუნებრივია —თავისი საკუთარი შეხედულება. ოპორტიუნიზმი, თუნდაც მაღალი ხარისხის და სრულიად კანონიერი, ზოგიერთ შემთხვევაში ჩვენთვის აკრძალულია. ჩვენ შეგვიძლია შეეჯიბროთ სხვა სახელმწიფოებს, მხოლოდ ზნეობრივ სრულყოფილების ძიებაში.

ბოლშევიკური წესწყობილების ისეთი ევოლიუცია, რომელიც თქვენთან ერთად ჩვენც გვინდა, ჩვენ არ გვჯერა. ჩვენ არ შეგვიძლია საყოველთაობის პრინციპის გულისთვის გავსწიროთ თუნდაც მინიმუმი იმ ზნეობრივ და პოლიტიკური დონესი, რომელიც საჯლდებულოა ყველა სახელმწიფოებისთვის. ერთა ლიგა არის — ან იგი უნდა იყოს — ჩვენ თვალში კაკობრიობის ერთი უდიდესი ქმნილება და მიღწევა! როდესაც 1920 წლის 19 მაისს შვეიცარიის ხალხმა და კანტონებმა გადალახეს ტრადიციებზე დამყარებული ყოველგვარი დაბრკოლებანი და გადაწყვიტეს ერთა ლიგაში შესვლა, ისინი თავგანწირულად გამოეხმაურენ იდეალის მოწოდებას.

ახლა ყველა შვეიცარელი, რომელიც ატარებს პატრიოტულ ნაციონალურ შეხედულებებს, გრძნობს, რომ ერთა ლიგა მეტად სარისკო საქმეში ებმება. მას არ ეშინია შეაერთოს ცეცხლი და წყალი. თუ საბჭოთა რუსეთმა უცბად გაანება თავი იმ ერთა ლიგის ლანძღვას, იმ ლიგის, რომელსაც ლენინმა ავანტიურა წამოწყება უწოდა,—ეს მისი ახალი პოზიცია აიხსნება იმ ნიშნებით, რომელნიც სერავენ შორეულ აღმოსავლეთის ცას. ჩვენ არ გვაქვს რწმენა. ჩვენ არ შეგვიძლია მონაწილეობა მივიღოთ იმ აქტში, რომელიც მისცემს საბჭოთა რუსეთს დღემდე არ ქონებულ უპირატესობებს.

მაგრამ არჩევანი მომხდარია. Alea jacta est. ჩვენ გვირჩევნია გამფრთხილებელის როლში ვიყვეთ. ჩვენ ვისურვებდით, რომ გადაჯარბებული აღმომჩდარიყოს ჩვენი შიში. ჩვენ იმედი გვაქვს, რომ ყველა სახელმწიფოები დაგვეხმარებიან, რათა ჟენევა არ გადაიქცეს გამხრწნელ პროპაგანდის კერათ. ჩვენ ვიდგომილებით სადარაჯოზე. ასეთია ჩვენი ვალი. ამ ჟამად ჩვენთვის საკმარისია ის, რომ საბჭოთა რუსეთმა ვერ შესძლო ერთთ ლიგაში შემოსვლა ერთხმად მოწოდებით, მისი წარსულის დავიწყებით და გამარჯვებულის გვირგვინით.

როდესაც ის იქნება მიღებული, საბჭო და საერთო კრება იქნებიან დაყენებული რამდენიმე ღიად დარჩენილ საკითხთა წინაშე. საერთო კრების მიერ საქართველოს დამოუკიდებლობის შესახებ გამოტანილი რეზოლიუციები ვერ დაიძინებენ მკვდრის ძილით. სომხეთი, უკრაინა, სხვა ქვეყნები კიდევ იპოვიან გაბედულ პირთ, რო-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მელნიც განაგრძობენ მათ ბედ - ილბალზე ზრუნვას. არ შეიძლება ითქვას : აწი ეგ საკითხები არ დაისმებიან. მთელი მსოფლიოს სიმპატიები თან ახლავთ იმ გმირებს, რომელნიც იცავენ თავის სიცოცხლეს და თავის ბედს. ასეთ კითხვებს ვერ გააბათილებს დროთა მსვლელობა.

განსაკუთრებით მაშინ, როცა დელეგატები გამოჩდებიან ჟენევაში, ჩვენ იმედი გვაქვს, გაისმება ხმები, რომ ადამიანური სინდისის სახელით განმარტება მოეთხოვოს მათ მთავრობას. ისინი დავმობენ იმ ანტირელიგიურ პროპაგანდას, რომლის მზგავსი არ იცის კაცობრიობის მოდგმის მატიანემ და რომელიც გლოვასა და ცრემლებში აგდებს ყოველ ქრისტიანს, ყოველ ადამიანს, რომელსაც სწამს ღმერთი და მიმართავს მის სამართლიანობას.

მე გავათავე. შეეცადე გამეგონებია თქვენთვის შვეიცარიელთა დიდი უმრავლესობის ხმა. ჩვენ არ გვაქვს არავითარი განზრახვა სხვებს ვასწავლოთ. მე ჩემს მოვალეობად ვთვლიდი მელაპარაკა თავისუფლად. ასე რომ არ მოვქცეულიყავ, მე ვუღალატადი ჩემს ამოცანას.

ის ფაქტი, რომ ეს მეტად დელიკატური კამათი მიმდინარეობდა დამშვიდებულ გარემოებაში, საპატიოა ჩვენი კრებისათვის. შვეიცარიის ხალხი დამშვიდებული მიიღებს თქვენი უმრავლესობის გადაწყვეტილებას იმ დემოკრატიული დისციპლინით, რომელიც გამომდინარეობს მის საუკუნეობრივ ტრადიციებიდან.

უდიდესი ქართული თარიღი

ათი წლის წინად ქართველმა ხალხმა ერთსულოვნად „ხელი ხმალს იკრა“ და აუჯანყდა წითელ რუსეთის ბატონყმობას.

საქართველო - რუსეთის 130 წლის დამოკიდებულობის ისტორიაში, ეს სისხლიანი ფურცელი ახალი არ არის.

როდესაც ძველმა რუსეთმა დაპირებულ დახმარება-მფარველობის მაგიერ (1783 წ. ტრაქ.), დაანგრია საქართველოს სამეფო და დაიპყრო მისი მიწა - წყალი; საქართველომ — 1804, 1810, 1812, 1820, 1832 წ.წ. აჯანყებებით უპასუხა.

ასევე მოხდა ჩვენს საუკუნეში. როცა კომუნისტურმა რუსეთმა ახლად აღდგენილ თავისუფალ საქართველოს დაპირებულ მეზობლურ მეგობრობის გაწევის მაგიერ (1920 წლის ხელშეკრულება), დაქცია მისი სახელმწიფო და ქართველ ხალხს დაადო მძიმე უღე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლი მონობისა. ამ გამეორებულ რუსულ ვერაგობას, ქართველობამ 1921, 1922 და 1924 წ.წ. ამბოხებებით უპასუხა.

ჩვენი დროის ამბოხებაში მხოლოდ ახალი და მაგარი ის არის, რომ ეროვნული მოძრაობა, მთელ საქართველოს სივრცეს მოედო: ყველა კუთხეს, ყველა წრესა, და მიუხედავად მისი მალე დამარცხებისა, მან უდიდესი კვალი დაამჩნია ქართველი ხალხის ეროვნულ ბრძოლის ისტორიას.

1924 წლის აჯანყებამ, ყველა მხარის ქართველობა, სულიერად და ეროვნულად ერთ მთლიან, მაგარ ერთეულად შეადუღა.

1924 წელმა მახლობელი და შორეული ქვეყნები საბოლოოდ დაარწმუნა, რომ საქართველოში ხალხი იბრძვის რუსეთის პოლიტიკურ-ეკონომიურ ტირანიისაგან განთავისუფლებისათვის და იბრძოლებს, სანამ თავის საკუთარ ლელოს არ გაიტანს. მანვე მოუღო ბოლო, მანამდე გავრცელებულ ცრუ შეხედულებას ქართველების ბრძოლაზე. ვითომდა იგი ყოფილიყოს რუსულ მენშევიკ-ბოლშევიკურ პარტიათა შეჯახების უბრალო შედეგი.

პირიქით აღმოჩნდა, რომ 1924 წ. აჯანყების ფიზიკური მარცხი, უმთავრესად გამომდინარეობდა ქართული ეროვნული სხეულის ოცდა ათი წლის განმავლობაში რუს მარქსისტულ დოქტრინებითა მოწამვლისა დასუსტებისაგან და არა ეროვნულ შეგნების გაქრობისაგან.

1924 წელს ერთი მუჭა ქართველი ხალხის, ას მილიონიან რუსეთის წინააღმდეგ გაბედულმა ამხედრებამ დაანახვა და დაარწმუნა მთელი მსოფლიო, პატარა გმირ ერის პოლიტიკრი მთლიანობა-სიძლიერეში ეროვნული თავისუფლებისათვის ბრძოლაში. ამისი გამოძახილია რომ ათი წლის შემდეგ, 1934 წელს, ერთა ლიგაში საქართველოს დამოუკიდებლობის საკითხი კვლავ დაისვა.

1924 წელი საქართველოს ახალ ისტორიაში, უდიდესი ეროვნულ თარიღად შეეკა. ამ წელიწადმა, გაამთელა საქართველო შიგნით, გაამაგრა მისი განთავისუფლების საქმე გარედან და გაუკაფა საიმედო გზა ქართველებს, მომავალ გამარჯვებისაკენ...

ქართველ - სომეხთა ურთიერთობა

დ. ვაჩანაძის სიტყვა

(სომხეთის დამოუკიდებლობის დღესასწაულზე წარმოთქმული).

ძვირფასო მეზობლებო !

საფრანგეთის ქართულ ასოციაციის გამგეობამ დაგვავალა, რომ მოგესალმოთ ამ დიად და ძვირფასს ეროვნულ დღეს, — ძვირფას არა მარტო თქვენთვის, არამედ ჩვენთვისაც.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ერების ისტორია ამოწმებს, რომ შორეულ ხანებში სომხები და ქართველები ერთად სჭედავდნენ თავის ეროვნულ საქმეს და შეკრულნი ერთის კულტურით, ერთის ისტორიულის ბედით, მხარ და მხარ გმირულად იბრძოდნენ თავის ეროვნულ თავისუფლებისათვის.

ამ ერთობის წყალობით, კავკასიის გუბისა და არარატის ძირში აღმოცენდნენ და განმტკიცდნენ სომხეთისა და საქართველოს სახელმწიფონი; და მრავალი საუკუნის განმავლობაში გამარჯვებით იგერიებდნენ სამტრო სტიქიონებისაგან თავის სამშობლო კერას.

მაგრამ ჟამთა და ბედთა ცვალებადობამ გააშორა ერთმანეთს ჩვენი ერები; ეს გაშორება მეტად ძვირად დაუჯდა სომხეთს და საქართველოს. იმ ხნიდან დღემდის განცალკევებულნი, იბრძოდნენ მარტოობაში და გამუდმებით ჰკარგავდნენ თავის მიწებს, თავის მოსახლეობას და დამოუკიდებლობას.

ჩვენს თვალწინ გადაშალა ერთი ფურცელთაგანი ამ უბედურობისა: აღდგენილი ოსმან-რომანოვების იმპერიების ნანგრევებზე, სომხეთ-საქართველოს რესპუბლიკებმა ვერ მონახეს დროზედ ძველი და დაცდილი ერთობის გზა; ზედი-ზედ დამარცხდნენ და თან წაილეკეს თავისუფლება დანარჩენ კავკასიის ერებისა.

ძვირფასო მეზობლებო! დაგვიდგა დრო ამ ძველ გზაზე დადგომისა. ჩვენი დროის დიადი მოვლენანი და ის ხიფათი, რომელიც ემუქრება ჩვენი ერების ფიზიკურ არსებობას, განა არ გვავალებენ, დავუბრუნდეთ ჩვენი დიდ წინაპრების დიად ტრადიციას — ვიყოთ ერთად ჭირში და ლხინში? ჩვენ ქართველები ვფიქრობთ, რომ დროა!

დროა ბრწყინვალე მაისის თვე გადავაქციოთ ჩვენი ერთობის რენესანსის გაზაფხულად... ერთობისა — კავკასიის ერებთან მჭიდროდ გადაწნულისა და მაგარ კავკასიურ ნიადაგს დაყრდნობილისა.

უნდა ვეჩქაროთ. დრო ჩვენთანაა, მაგრამ არ კი გვიცდის. ქართული პოლიტიკური მიმართულებანი უკანდაუხევლად შედგნენ ამ გამოცდილ, ძველ ისტორიულ გზას, ერთობისა და კავშირისა თავის მეზობლებთან.

უკანასკნელ წლებში სომეხთა და ქართველთა პატრიოტები გულმოდგინეთ ცდილობენ ქართულ-სომხურ საერთო მეგობრულ პოლიტიკის აღდგენისათვის, მიმართულსა კავკასიის ყველა ერებისათვის სასარგებლოდ. და ჩვენ ღრმადა გვწამს, რომ ეს მათი ცდა მიაღწევს თავის საწადილს.

გადაეცით თქვენს მძიმედ ავადმყოფ ბელადს ბ-ნ ავეტის აგარონიანს, გულწრფელ დამცველს სომეხ-ქართველთა ერთობისა, მხურვალე ქართულ სალამთან ერთად ეს ჩვენი სიტყვაც; იქნებ ეს უკა-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ნასკნელი სასარგებლო მალამოდ მოევლინოს მას და წამოაყენოს ფეხზე, სასიქადულო და გამოჩენილი მებრძოლი სომხის ერის თავისუფლებისა.

ტ

და ბოლოს ნება მიბოძეთ ბატონებო, თქვენის სახით, ვუძღვნათ ჩვენი ქართული გულის სალამი გმირ, გაუტეხელ, კეთილშობილ სომხის ხალხს...

გაუმარჯოს სომხეთს!.. კეცე ჰაიასტან! მრავალ ჟამიერ სომხეთის ერს!

ა. ჯამალიანის სიტყვა

ქართველთა მილოცვაზე, საპასუხო მხურვალე მადლობის სიტყვა წარმოსთქვა ცნობილმა სომხის მოღვაწემ ბ. ჯამალიანმა.

ძვირფასნო თანამემამულენო!

ნება მიბოძეთ, ქართველთა ასოციაციის წარმომადგენლის და ქართველ ეროვნულ პოლიტიკის აზრის გამომხატველის თავად ვაჩნაძის წარმოთქმულ სიტყვის შემდეგ, მოგახსენოთ ჩემი ორიოდე სიტყვაც, მით უფრო რომ ამის საჭიროებას ძლიერად ვგრძნობ, რადგან სრულიად შემთხვევითი მიზეზის გამო მე ვერ მოვახერხე მისი წარმოთქმა დღეს ქართულ ეროვნულ დღესასწაულზე, სადაც ჩვენ, სომხებს, ქართველები დაგვხდენ განსაკუთრებულის თბილი გრძნობითა და ყურადღებით.

სრულიად ცხადად მიმაჩნია, რომ დიდი საერთო ინტერესები აიძულებენ ყველა კაკასიელ ერებს აუცილებელ მჭიდრო ძმურ კავშირისათვის საერთო განთავისუფლების მიზნების მისაღწევად...

მაგრამ მათ შორის, მე მინდა შევაჩერო თქვენი ყურადღება საქართველო - სომხეთის ისტორიულ დამოკიდებულებაზე და გაგახსენოთ მათი მრავალ საუკუნოვან არსებულ კავშირის ამბავი.

ქართველ - სომეხთა ძმური დამოკიდებულების საძირკველი ჩაყრილია თავიდანვე ჩვენი ერების ხალხურ ეპოსში. ცნობილ ქართულ მატიანეში „ქართლის ცხოვრებაში“ სომხები და ქართველები ჩამომავალნი ყოფილან საერთო წინაპრისა — თარგამოსისა, ნოეს შვილი შვილი - შვილისა. თარგამოსს ბევრი ვაჟები ჰყავდა, უფროსი მათ შორის ჰაოსი იყო სომხების წინაპარი, მეორე — ქართლოსი — ქართველებისა. ამ გენეალოგიას სიტყვა სიტყვით ადასტურებს სომხის ისტორიკოსი მოსე ხორონელი. „ქართლის ცხოვრება“ აგრეთვე გვარწმუნებს, რომ ნაბუქოდონოსორამდე საქართველო

ეროვნული ბიბლიოთეკა

სომხეთში ლაპარაკობდენ ერთს საერთო ენაზედ. ეს ხალხური გადმოცემანი, უსათუოდ ამოწმებენ მსოფლიო ისტორიაში არ გაგონილ ორი ერის ძმურ ცხოვრებას. შედეგები მისი მრავალფეროვანი იყო. ერთიანობა სარწმუნოების სფეროში (კერპთ თაყვანისცემლობა, ქრისტიანობა), საერთო ზნე-ჩვეულება, ერთდაიგივეობა მრავალ ქართულ-სომხურ სახელებისა, სიტყვებისა; ქართულ-სომხურ არქიტექტურის განსაცვიფრებელი მიმგზავსებანი და სხვა მრავალი. მაგრამ მინდა ამ მხრივაც თქვენი ყურადღება მივაპყრო ერთ თვალსაჩინო პოლიტიკურ მოვლენას: არასდროს გაძლიერება ერთი მხარისა ან და მისი ძალაუფლების გავრცელება მეორეზე არ იწვევდა უკანასკნელში არც შურს და მით უფრო მტრობას. ასეთ მოვლენას ჩვენ ვერ შევხვდებით სხვა ორ ერთა ურთიერთობაში. მაგალითად არმაკიდების ხანაში, რამდენიმე საუკუნის განმავლობაში, საქართველო იმყოფებოდა სომხეთის პროტექტორატის ან ბატონობის ქვეშ და ქართველები ამაში არაფერს ცუდს არ ხედავდენ. ხშირად თვის რომელიმე მეფის უკმაყოფილო ქართველნი სომეხ ვაზობდენ თავის ტახტს სომხეთის მთავრებს. საშუალო საუკუნოების მეორე ნახევარში კი ჩვენ მოწმენი ვხდებით პირიქითი ამბებისა.

სომხეთის ბაგრატიდების დასუსტებისა და დაცემის შემდგომ და მონათესავე ქართველ ბაგრატიონების გაძლიერებისას სომხები ხელს უწყობდენ ქართველ მეფეებს მათი ძალაუფლების სომხების მიწებზე გავრცელებისათვის და როდესაც თამარ მეფის ჯარები მის დროშას სივანის ტბის ნაპირებზე და ერზერუმის სიმაგრეებზე აღმართავდენ, სომხები არ ფიქრობდენ, რომ ემსახურებოდენ უცხო დამპყრობ ერს... თამარ მეფე სომხეთში ისეთივე საყვარელი და პატივსაცემი იყო, როგორც მთელ საქართველოში.

სამწუხაროდ ეხლა ჩემს ხელთ არ არის დრო, რომ დაწვრილებით მოგითხროთ ქართველ-სომხების ძმურ ურთიერთობის კიდევ ბევრი მაგალითები; მაშინ მე გიამბობდით, თუ რამდენჯერ ქართველები და სომხები მხარდამხარ იბრძოდენ რომაელების, არაბების, სპარსელების, ბიზანტიელების, მონგოლების და სხვა მტერთა წინააღმდეგ, რომლებიც ჩვენი ქვეყნების დამონებას ცდილობდენ; მე გიამბობდით ერთ ამაღელვებელ ძველ ჩვეულებაზე, რომლის ძალით მეზობელი ქართველი და სომხის მთავარ თავადნი ერთმანეთს აბარებდენ დროებით ძუძუმწოვარ ვაჟიშვილებს, რათა დედის რძეს ისინი ძმებად გაეხადა. მე გაგახსენებდით საერთო ქართველ-სომხურ დიდ დღესასწაულებს უძველეს ეკლესიებისა (მცხეთა, ეჩმიაძინი), რომელზედაც მასიურად ესწრებოდენ ქართველ-სომეხთა მლოცველნი. და მრავალ სხვა საერთო წმინდა სახსოვარს, საერთო ჭირის და ლხინის მოსაგონარს, მაგრამ ამ ჟამად ეს ვიკმაროთ.

ასეთი იყო ორი მეზობელი ერის მრავალ საუკუნოვანი წარ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

სულის საერთო გზა, საერთო ბედი და საერთო ხვედრის შეგნება და მაზედ აღმოცენებული ურთიერთისადმი ძმური და მეგობრული განწყობილება.

მაგრამ ქართველ - სომეხთა მახლობელ დამოკიდებულების მთავარ ფაქტორებად ორი თვალსაჩინო გარემოება გვევლინება. სომხეთის გეოგრაფიული მდგომარეობა საქართველოს სამხრეთიდან ჰფარავდა. იგი იყო მისი სამხრეთი ზღუდე, სამხრეთიდან მოწოლილ სამტრო ტალღებისაგან დამფარავი. საქართველო კი ამაევ დროს იფარავდა სომეხთს ჩრდილოეთიდან. საქართველომ მრავალჯერ გადაარჩინა სომეხთი სკითების, ხაზარების და სხვათა ჩრდილო ურდოებისაგან!

გამარჯვებულ მტრის შემოსევების შემდგომ ქართველები და სომეხები ბევრჯელ იფარავდენ თავს ერთი მეორესთან; მაგრამ უმეტეს შემთხვევაში სომხები აფარებდენ თავს საქართველოს, რადგან სამხრეთიდან შემოსევები უფრო ხშირი და სასტიკი იყო, ვიდრე ჩრდილოეთიდან.

ეს ცხადი გაკვეთილები ისტორიისა, ქართველებმა და სომხებმა დაიგიწყეს ამიერ - კავკასიაში რუსეთის ბატონობის დროიდან. რუსეთის ძალაუფლებამ და მისმა divide et impera-ს პოლიტიკამ დანგრია ბუნებრივი ერთობა ქართველ - სომხებისა და ვერაგულად დაუპირისპირა ერთმანეთს. ეს უბედურება რომ არ ყოფილიყო, რუსეთის რევოლიუცია კავკასიაში სულ სხვანაირად დაბოლოვდებოდა. სომეხ - ქართველთა შეერთებული ძალა, შეერთებული სიცოცხლეში და სიკვდილში, გაიტანდა არა მარტო მათ თავისუფლებას, არამედ მთელ კავკასიისასაც.

ძვირფასო თანამემამულენო, არც ეხლაა გვიან დაუბრუნდეთ ჩვენს ძველ ერთობის პოზიციებს. მე სავსებით ვიზიარებ თავად ვაჩნაძის აზრებს და მის შეკითხვაზე — ნუ თუ დღესაც, როდესაც კავკასიის თავზე ჭიჩდება ძალი ღრუბლები, ქართველები და სომხები განცალკევებულნი იქნებიან? — ჩვენ ერთად ვუპასუხებთ არა, ამიერიდან ამ განცალკევებას ადგილი აღარ ექნება. და ჩვენი ერთობა დაუპირდაპირდება მხოლოდ კავკასიის დამპყრობელებს. ამ ერთობას, ჩვენი ძველი მეზობლები აზერბეიჯანელები და მთიელნი, რომლებსაც ჩვენთან ერთად ერთი მიზანი აქვთ, ალბათ დიდი თანაგრძნობით დახვდებიან. მათვის ხომ აშკარაა, რომ ქართველ - სომეხთა ერთმანეთისაგან დაშორება იყო ერთი მთავარი მიზეზთაგანი საერთო სამშობლოს — თავისუფალ კავკასიის — დაკარგვისა.

ძვირფასო თანამემამულენო, ამ ჩემი მოკლე ნათქვამიდან და მოყვანილ საბუთებიდან თქვენ დამერწმუნებით, რომ სომეხ - ქართველთა ერთობა არის ერთად-ერთი საწინდარი ჩვენი დაკარგულ და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მოუკიდებელ სახელმწიფოებრივ ცხოვრების აღდგენისა. და აი ამისათვის აუცილებელია მხარდამხარ მიდგომა და ბრძოლა საერთო მიზნის მიღწევისათვის.

ნეპაძიბოძეთ გამოვსახო თქვენი გრძნობები და შეესძახო ჩვენს ნათესავ ქართველ ხალხს და მის მშვენიერ სამშობლოს :

გაუმარჯოს ქართველ ერს !

გაუმარჯოს თავისუფალ დამოუკიდებელ საქართველოს !

სომხები და ქართველები

ამ სათაურით „დამოუკიდებელ საქართველოში“ მოთავსებულია ბ. **სამ. ფირცხალავას** წერილი, რომელიც აქ მოგვყავს მოლიანად.

ბ. ჯამალიანის სიტყვა, წარმოთქმული სომხ. დამოუკიდებ. დღეს, უეჭველად, მნიშვნელოვანი პოლიტიკური მოვლენაა. იგი სრულს კმაყოფილებას გამოიწვევს ყოველ ქართველში აქ ემიგრაციაში და იქ, საქართველოშიც. დარწმუნებული ვართ, ასეთსავე შთაბეჭდილებას მოახდენს ეს სიტყვა სხვა კავკასიელებზედაც, რომელთაც კარგად აქვთ შეგნებული კავკასიის ერთობის ღირებულება, გულწრფელად მუშაობენ მისთვის და მტკიცედ სწამთ, რომ ადრე იქნება თუ გვიან, ეს ერთობა განხორციელდება. ბ. ჯამალიანის სიტყვას განსაკუთრებული მნიშვნელობა ეძლევა, ნამეტურ კავკასიის პაქტის ხელისმოწერის და გამოქვეყნების შემდეგ.

ჩვენ გვითქვამს და ახლაც განვიმეორებთ, რომ კავკასიელ ერთა შეკავშირებისა და გაერთიანებისათვის არა კმარა მარტო თეორიული პროპაგანდა და კეთილი წადილის დეკლარაცია. საჭიროა, რომ პრაქტიკულ, აგრე ესთქვათ საქმიან კავშირს წინ უსწრობდეს ფსიქიური დაახლოვება ერთმანეთთან, ერთი-მეორის წარსული და აწინდელი სახეობის გაცნობა, ურთერთის გაგება, გარკვევა და გაფანტვა ყველა იმ გაუგებრობისა და უსიამოვნებისა, რომელსაც ადგილ ჰქონდა და აქვს მეზობელ ერთა შორის და აგრეთვე ხაზგასმით აღნიშვნა იმ თანამშრომლობისა და მეგობრობისა, რომელიც იყო წინად.

ყოველს კავკასიელს უნდა ახსოვდეს მუდამ, რომ შეიძლება კავკასია, როგორც პოლიტიკური მცნება, ახალია, ახალია თვით კავკასიის კონფედერაციის იდეაც, მაგრამ არა კავკასიელ ერთა საერთო მოქმედება, საერთო ბრძოლა, შეთანხმებული გამოსვლები, ერთმანეთის დახმარება, კეთილი მეზობლობა. ბ. ჯამალიანმა ყურადღება მიაქცია თავის სიტყვაში სომეხ - ქართველთა მეზობლობას და სამართლიანად ამბობს, რომ ამ ორ ერის ურთიერთობა იშვიათი მოვ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლენაა ისტორიაში. სამწუხაროდ დღემდის არ მოგვეპოვება დალაგებული ვრცელი გამოკვლევა ამ დამოკიდებულების, მაგრამ რაც მოგვეპოვება ჩვენს მატიანეში, ესეც საკმაოა იმის გასაცნობად, თუ რა მჭიდრო კავშირი და ურთიერთობა ჰქონდათ სომხებს და ქართველებს. პირველ საუკუნოებში, როდესაც სომხეთი ძლიერი სახელმწიფო იყო, იგი ხშირად მძლავრობდა საქართველოზე, მაგრამ როგორც უფრო დაწინაურებულმა, დიდი კულტურული დახმარება გაგვიწია და იყო პირველი გზა ქრისტიანულ განათლების გასავრცელებლად ჩვენში; შემდეგ როცა მთელ კავკასიაში პირველობა ქართველების ხელში გადავიდა, ქართველები მუდამ დამხმარენი და მფარველნი იყვნენ სომხების; სომხეთის დიდი ნაწილიც საქართველოს სამეფო ფარგალში მოექცა, და ეს დრო იყო სომხური კულტურის აყვავების ერთი საუკეთესო ხანათაგანი, პირდაპირ არაჩვეულებრივი სიყვარულით და კეთილგანწყობილებით ეპყრობოდენ ქართველთა მეფეები სომხებს, განსაკუთრებით პატივს სცემდენ სომხის სამღვდელოებას. სხვათა შორის ერთი სომხურ-ქართული ისტორიული დოკუმენტი ასე მოგვითხრობს დავით აღმაშენებელზე: „მას უყვარდა სომეხთა ნათესავი და ეკლესიები და ვინმე რიტორი, მოძღვარი ახპატს, სახელით სარკავაგ, აღუარებდა მას დანაშაულთ და მოუხრიდა რა პატიოსანსა თავსა. ლოცვა-კურთხევას იღებდა მისგან. დაჯდებოდა მასთან და ეხვეოდა კისერზე, იგი კი ეტყოდა: „განრღვეული და აყოლებული ვარ მოხუცებულობისაგან, მომშორდი, რათა არა გადაგედოს სადები". და მეფე ეხვევოდა და ეტყოდა: „არა მომაკლდეს სიმყარალე ესე, მამაო პატიოსანო". და მონასტრის მახლობლად უბოძა მას სოფელი მისდა სამსახურად. და როდესაც აკურთხებდა მეფესა, დაადებდა მას ხელს და იტყოდა: „ვპოვე და ვით მონაჲ ჩემი და საცხებელი წმიდაჲ ჩემი ვცხე მას..." და უხაროდა მეფესა და აქებდა სომხურს მშვენიერს თარგმანს".

მაგრამ ამასთანავე თვითონ სომხები იშვიათის ერთგულობით და მეგობრობით ეპყრობოდენ საქართველოს და ქართულს საქმეს —მის პოლიიკურ გაძლიერებას და კულტურულ დაწინაურებას უყურებდენ როგორც საკუთარს საქმეს და ჩვენს ისტორიას მრავალი სომხის გვარი აშშვენებს როგორც სახელმწიფოებრივ ისე საგანმანათლებლო სარბიელზე და ეს გაგრძელდა თითქმის მეცხრამეტე საუკუნის უკანასკნელ მეთხუთმეტამდე, როცა სომეხ-ქართველთა ურთიერთობა ცოტათი აიმღვრა. რამდენ სომეხს მოვსწრებივართ ჩვენ თვითონ, რომლებიც ღირსეულად მოღვაწეობდენ ქართული საზოგადოებრივობისა, მწერლობისა,, თეატრისათვის! იყვნენ სომხები საქართველოს ნამდვილი პატრიოტები!

ქართველებს არასოდეს არ შეგვიძლია ამის დავიწყება, როგორი არანორმალურიც არ უნდა იყოს ხანდახან ჩვენი ერთმანეთთან

ეროვნული ბიბლიოთეკა

დამოკიდებულება. არ უნდა დავივიწყოთ სომხებმა და ქართველებმა ეს განსაკუთრებით დღეს, როცა ჩვენი ქვეყნები უკიდურეს განსაცდელშია, როცა წინ იმდენი საერთო საქმე გვაქვს, როცა თვითეულის ჩვენთაგანის ბედი მეორეს ბედზეა გადაჯაჭვული. კავკასიის კავშირი თუ საჭიროა და აუცილებელი, ხომ ცხადია, რომ სომხეთი და საქართველო ამ კავშირის განუკეთეელი და უმთავრესი ელემენტებია და მათი ერთმანეთთან დაახლოვება და ერთობა ნიშნავს თითქმის მთელი კავკასიის შეთანხმებას და ერთობას. სრულებით საჭირო არაა პოლიტიკაში რომანტიკოსები ვიყოთ; სომეხ-ქართველთა მეზობლობაში დღეს არის ზოგირამ უთანხმოება და სადავო. ამას ნუ დავმალავთ. ბევრია დაბრკოლება და ხელის შემშლელი გარემოებაც გარეგანი, ჩვენი ბედის გადაწყვეტა მარტო ხომ ჩვენს ხელში არაა. ხოლო ყოველივე დაძლეული იქნება და ყოველი დაბრკოლება გადალახული, თუ აღვიჭურვებით მტკიცე ნებისყოფით და ერთობის ურყევი გადაწყვეტილებით და არასოდეს განვშორდებით იმის შეგნებას, რომ სომხებს და ქართველებს შეგვეძლო და შეგვიძლია დღესაც ერთმანეთთან თანამშრომლობა, გვქონდა და გვაქვს ერთობის და კავშირის უნარი.

თავში ვთქვით, რომ ბ. ჯამალიანის სიტყვა პოლიტიკური მნიშვნელობის მოვლენაა, ქართველებს გვესმის, კარგად გვესმის სომხების განსაკუთრებული ძმიმე მდგომარეობა. კავკასიის გაერთიანება მათვისაც ყოველთვის პრინციპიალურად უდავო იყო, ხოლო მისი განხორციელების მომენტი და სხვა გარემოებანი იწვევდენ მათში ერთგვარ ყოყმანობას, სიფრთხილეს. საჭიროა საკითხის მეტი მომწიფება, ზოგ მდგომარეობის გარკვევა, შეცვლა; შეიძლება, ეს ყველაფერი ჯერ კიდევ შესრულებული არაა, მაგრამ ბ. ჯამალიანის სიტყვა მოწმობს, რომ ახლოვდება დრო, როცა სომხები მჭიდროდ ამოუდგებიან გვერდში დანარჩენ კავკასიელებს და ყველასთან ერთად გაუძღვებიან საერთო საქმეს — კავკასიის ერების განთავისუფლების და მათი კავშირის დამყარების საქმეს.

ჩვენ—როგორც ძველი გულითადი მეგობარი სომხებისა—სრული სიხარულით ვეგებებით ამ დღის მოახლოვებას.

(დამ. საქ. № 106).

ქართველი ერი, როგორც მშენებელი

(ეკონომიური ეტიუდი *)

ასეთი იყო ძველად და შემდეგშიც ქართველი ხალხის მონაწილეობა ადგილობრივ მრეწველობაში. კვლავ იბადება კითხვა: თუ შორეულს დროიდან ვხედავით საქართველოში დამზადებულს საქონელს, ნუ თუ ჩვენს ხანაში ველარ მოახერხებდა ჩვენი ერი მრეწველობის გაჩენას, მის მშენობლობაში თავის გამოჩენას? როგორც სასოფლო-მეურნეობის დარგებისთვის აღვნიშნეთ, რასაკვირველია, აქაც, საჭირო იყო მრეწველობის გაჩენაშიც. ამისათვის უტყუარად მოცემულია ყველა ობიექტური პირობები. მაგრამ საქართველოს პოლიტიკური და მასთან მჭიდროთ დაკავშირებული სხვა პირობანი და გარემოებანი ხელს ვერ უწყობდენ ქართველ ერს თვისი ეროვნული მეურნეობა ამ მხრივაც გაეძლიერებინა.

როდესაც უარყოფითი პოლიტიკურ ვითარებებზედ ვლაპარაკობთ, ჩვენ ის კი არ უნდა ვიფიქროთ, თითქოს რუსეთის მმართველობას, რაიმე „უკაზით“ გამოეცხადებინოს, რომ ქართველ ხალხს ეკრძალებოდა სასოფლო-მეურნეობის და საქალაქო მრეწველობის გაუმჯობესობა. ამ გვარი „უკაზის“ გამოცემა მათ არც სჭირდებოდათ, რადგან საქართველოს ძირითად ინტერესებისადმი მტრულად განწყობილ რუსეთის მმართველობას ბევრი სხვა საშვალებებიც ქონდა, რათა ეკონომიურათაც შეეგიწროებინა ჩვენი ერი. სახელმწიფოს თვისი ეკონომიური, ადმინისტრატიული, თუ სოციალურის პოლიტიკით ყოველთვის შეუძლიან ერის კეთილდღეობის აწევაც და დაცემაც. — საბაჟო და საგარეო პოლიტიკა, გადასახადების გაწერა, რკინის გზების გაყვანა, სხვა გზების გაუმჯობესობა, კრედიტის მოწყობა, სწავლა-განათლების, როგორც საზოგადოსი ისე სპეციალურის, გავრცელება, ეკონომიური მოვლენათა შესწავლა-შეფასება, კრიზისების დასაძლევად საჭირო ზომების მიღება და სხვა ამგვარი. აი ის საშუალებანი რომლითაც რუსეთის მმართველობას აღვილად შეეძლო ჩვენი ქვეყნის გამდიდრებაც და გაღარიბებაც! საკმაო არის ის დრაკონული ღონისძიებანი გავიხსენოთ, რომელიც შემოღებული იყო ქართული მარგანეცის ექსპორტის დასაცემად — სტარიფო პოლიტიკით!.. ამისთანა ხერხებით ხდებოდა, რომ სრულებით მივიწყებული და მიგდებული იყო საქართველოს უამრავი ბუნებრივი სიმდიდრენი, — ლითონი იყო, თუ ნავთი, წყლის ძალა თუ სხვა. საქართველოს სამთო-მადნო მრეწველობას და ქართველი ერის ამ დარგის მშე-

*) იხ. ჟურნალი „სამშობლო“ № 15.

ნებლობაში მონაწილეობას ძველთაგან ქონდა მოპოებული უცხო ქვეყნებშიც დიდი სახელი...

თუ რამდენად იყო მავნებელი საქართველოსათვის რუსეთის პოლიტიკა, ამას შემდეგი ორი ციფრი გვიჩვენებს. 1913 წელს ეროვნული შემოსავალი თითო სულზედ, მთელს რუსეთის იმპერიაში შეადგენდა 101 მან. 35 კაპ. ეს ეროვნული შემოსავალი საქართველოში-კი მხოლოდ 95 მან. 58 კაპ. იყო. აქ ვერ შეუდგებით ამ მასალის უფრო დეტალურად შესწავლას. ვიტყვით მხოლოდ, ეროვნული შემოსავლის ის წილი, რომელიც მრეწველობაზედ მოდის, რუსეთისათვის უფრო დიდია ვიდრე საქართველოსათვის, გასაგებ მიზეზების გამო. სამაგიეროთ, ის შემოსავალი, რომელიც სასოფლო - მეურნეობის წილს შეადგენს, ჩვენში უფრო დიდია, ვიდრე რუსეთში, რადგან ჩვენებური სასოფლო კულტურა უფრო მრავალფეროვანი, ინტენსიური არის. ჩვენი ეკონომიური ძალები აქაც დაჩაგრული იყო, მაგრამ რუსეთის პოლიტიკა აბა რას უზამდა საქართველოს ჰავას, ნიადაგის ბუნებრივ სიმდიდრეს, ჩვენი ქვეყნის გეოგრაფიულ მდგომარეობას...

ქართველს ერს, მტერნი თუ მოყვარენი, ხშირად უკიჟინებდენ: თუ სასოფლო - მეურნეობაში მაგისთანა გამჭრიახი და მცოდნე ყოფილხართ წინეთ და დღესაც ვითომდა ხართ, იმდენი პურის მოყვანა მაინც როგორ ვერ შოგიხერხებიათ, რომ სხვა ქვეყნებიდან არ გიხდებოდესთ საჭირო საკვების შემოტანაო?

მართლაც და რაშია საქმე?! თვით ბოლშევიკური ეკონომისტებიც ამბობენ, საკმაოა ათი პროცენტით აიწიოს პურის მოსავალმა, რომ საქართველოს აღარ დასჭირდეს უცხოეთში პურის სყიდვაო.

ჩვენს სამშობლოში ამას წინათ ასეთი ცდებიც-კი მოუხდენიათ: ხვნა - თესვის არსებული წესების შეუცვლელად, უცდიათ ზოგიერთ ადგილებში, სასოფლო - მეურნეობაში ხმარებული ყველა მანიპულიაციები, უფრო მეტის გულმოდგინებით და ყურადღებით მოეხდინათ. მაგალითად, სადაც საჭირო იყო უფრო ღრმად მოხნეს, თესლი კარგად გასწმინდეს, დათესილ მიწებს თვალ - ყურს ადევნებდენ და უპატრონებდენ და სხვა ამ ხასიათის ზომებს ღებულობდენ. და წარმოიდგინეთ, ასეთმა პრიმიტიულმა გაუმჯობესობამაც კი შედეგად ის მოტანა, რომ მოსავალი დესეტინაზედ 90 ფუთი მოვიდა, მაგივრ ჩვეულებრივის 50 ფუთისა! ამისთანა მოსავლითო, გვიმტკიცებენ ბოლშევიკები, იმოდენა პური დაგროვდებოდა, რომ საკვებათაც გვეყოფოდა და გარეთ გასატანადაც დაგვრჩებოდაო! უეჭველია. ვიტყვით ჩვენ, რომ ქართველ მეურნეს რაღაც თავისი ინგარიში ქონია, რომ არაცდილა, ასეთი იოლი საშუალებებით მოსავალი 90 ფუთამდე აეყვანა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დღეს, საერთოდ უძნელეს კრიზისის დამყარების ხანაში, უკვე ყველამ სცნა, რომ ყოფილა მდგომარეობა, როდესაც, მაგალითად, დიდი მოსავლის დაგროვება სოფლის მეურნესათვის ყოველთვის არ ყოფილა დიდი ბედნიერება. ყოველ დღე ვტყობილობთ, რომ ორ-თავ ამერიკაში, ავსტრალიაში და სხვა მხარეებშიც პურის, კარტოფილის, ყავის და სხვათა მოსავალს, ნაწილს წყალში ყრიან, სწვავენ, აოხრებენ! ამ ჟამად შეერთებულ შტატებში მთავრობას გადაუწყვეტია, კრედიტით იმ გაჭირვებულ ფერმერებს გაუმართოს ხელი, ვინც სიტყვას მისცემს, რომ ნაკლებს დასთეს...

იქნებ ამ ამბებმა ჩვენ, ქართველებიც, ჩაგვფიქროს და ჩვენი სოფლის მეურნის ანგარიშს მიგვახვედროს, და გაგვიშუქოს უცნაურობა, თუ რატომ არ ცდილა ქართველი მშრომელი 50 ფუთის მაგიერ — 90 ფუთი მოეყვანა.

ბატონ-ყმობის გადავარდნის შემდეგ, მეტადრე მაშინ, როდესაც გაყვანილი იყო ფოთი - ტფილისის რკინის გზა, შავს ზღვაზედ ნავოსნობა გაჩნდა, კავკავ - საქართველოს გზატკეცილზედ საქონლის გახშირებული გადაზიდვ - გადმოზიდვა გაჩაღდა, საქართველოს სასოფლო - მეურნეობის ეკონომიური პირობებიც ძირითადათ, იცვალა. საქართველოში შემოიჭრა **იაფი რუსეთის პური** და **სწორეთ ამან** თან და თან, რადიკალურად შესცვალა ჩვენი ქვეყნის სამინდვრო, ე. ი. პურის მოყვანის პოლიტიკა. რუსეთის უფრო იაფმა პურმა დასცა ჩვენი, ადგილობრივი პურის ფასები. რუსეთის პური, რკინის გზით მოტანილი, მოზღვავდა ჩვენს ქალაქ ადგილებში და აქედან ფეხი გაიდგა სწორეთ იქით, სადაც კარგი გზები იყო გაყვანილი. ჩვენს სოფლებში-კი რუსეთის პური ვერ გაუწევდა დიდს კონკურენციას ჩვენებურს, რადგან ცუდს სოფლის გზებზედ, უხიდოთ დატოვებულ მდინარეებზედ მისი გადატანა აძვირებდა უცხოეთის პურის ფასსა. რკინის გზები ჩვენი სოფლებისაკენ რომ ყოფილიყო გაყვანილი, პურის უხალისოდ მოყვანა უფრო მძლავრად იჩენდა თავსა. იაფი რუსეთის პური მხოლოდ ადვილად მისავალ ადგილებში საღდებოდა და საღდება დღესაც. ამიტომაა, რომ ჩვენი გლეხი ცდილობს სწორედ იმდენი პური მოიყვანოს, რაც მის კერძო მოთხოვნილებას აკმაყოფილებს. ფართე ბაზარზედ ჩვენი პურის გატანა აღარ ივარგებდა, რადგან იქ მას უცხოელი უფრო იაფი პური უჩაღებდა კონკურენციას. თუ ამასთანავე გავიხსენებთ რუსეთის მოხერხებულ სატარიფო პოლიტიკის მძვინვარობას, აშკარად დავინახავთ თუ რამდენად ძმელი იყო ქართველი მეურნისათვის ფართე მაშტაბით საბაზრო და საექსპორტო პურის მოყვანა.

თვისი სატარიფო პოლიტიკით რუსეთის მთავრობამ ციმბირის პურის დაჩაგვრაც-კი მოახერხა, შიდა რუსეთის, ველიკოროსულ. პურის სახეიროთ და აბა ჩვენ, ქართველებს, რაღა ხეირს დაგვაყ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

რიდენ. ჩვენში გზების უვარგისობა, ხომ სწორედ, საარაკოა: არც რკინის გზების ფართე ბადე, არც ხეირიანი „ფოსტის“ თუ სასოფლო გზები. რუსეთში ამ მხრივ, შედარებით ჩვენთან, საქმე უფრო რიგზედ არის მოწყობილი. იმის საჩვენებლად, თუ რა გავლენას ახდენს საქონლის ფასებზედ ამა თუ იმ ხასიათის გზები მოვიყვანთ ორიოდე მაგალითს: პურის ურმებით გადაზიდვა კარგად გაკეთებულს სასოფლო გზებზედ ორიდან — რვაჯერ უფრო იაფად ჯდება. საშუალოდ მომარაგებულს შოსსეს გზაზედ 3-4 ჯერ; კარგს შოსეზედ 4-ჯერ. ავტომობილით გადაზიდვა აიაფებს გადაზიდვას რვაჯერ და მეტადაც! სად არის ჩვენში ამისთანა გზები?! როდის იზრუნა რუსის მთავრობამ ჩვენშიც გაეჩინა ამისთანა ეკონომიური არტერები?

სხვა პირობებს რომ თავი დავანებოთ, ჯერ ამ გარემოებით უხდებოდათ რუსებს თვისი პურის უფრო ხეირიანი ფასებში გასაღება, ვიდრე ჩვენ. დაუმატეთ ამას ისიც, რომ ჩვენ მთიან ადგილებში გვიხდება ხვნა-თესვა, კამბეჩ-ხარებით შემბულ გუთნებით, მაშინ როდესა რუსეთის სტეპები ცხენის გუთანს ამუშავებენ და ეს გუთანი, უმეტესად, რკინისაა, იქ მათი ერობათა და მთავრობის ზრუნვით გავრცელებული.

გამოანგარიშებულია, რომ ხარებით მოხნულ მიწებზე პური ჯდება ფუთი 85 კაპ., ცხენის გუთნებით-კი 35 კაპეიკი! რაც შეეხება ერობისა და მთავრობის ზრუნვას სასოფლო-მეურნეობისათვის, აქ ხომ საქართველო სულ მივიწყებული იყო. აი რამდენიმე საყურადღებო ციფრები.

ყოველ 1000 ჰექტარ კულტურულ მიწებზედ ხარჯავდენ:

შეერთებული შტატები	700	მან.
ინგლისი	1070	„
საფრანგეთი	600	„
რუსეთი, ომის წინ (ევროპის რუსეთი)	300	„
საბჭოთა რუსეთი, იქვე	120	„

საქართველოსათვის-კი ან არაფერს იმეტებდენ, ან რატაც კაკაპეიკებს!

იძულებული ვარ სიტყვა აღარ გავაგრძელო, თუმცა სათქმელი კიდევ ბევრია იმის გამოსაშკარავებლად თუ რამ აიძულა ჩვენი მეურნე, არსებული პირობებში აღარ ცდილიყო პურის იმაზედ მეტის მოყვანას, რაც ეხლა მოყავს.

და საქართველო არ იყო განცალკავებული ამ შემთხვევაში. ერთ დროს ამნაირევე მდგომარეობა დაუდგა მთელ რიგ ევროპიულ სახელმწიფოთ, როგორიც არის სკანდინავიის ქვეყნები, დანიიდან და-

ეროვნული ბიბლიოთეკა

წყებული; ჰოლანდია, ბელგია; მთელი წყება დიდი სახელმწიფოებისაც ჩავარდა დიდი კრახის ხანაში. ეს ამბავი წარსული საუკუნის 70-ან წლებში, როდესაც ფართეთ მოწყობილმა და ახლად შემოღებულმა საორთქლო იაფმა ტრანსპორტმა, ამ ქვეყნებს მიაყარა იაფი ამერიკის და რუსეთის პური. ჩვენის რწმენით, სწორეთ ამ წლებიდან იწყობა საქართველოს ეკონომიური კრიზისიც და იმავე მიზეზებით, რომელიც იქ, უცხო სახელმწიფოებში, მეფობდენ. აქ ვერ გამოვუდგებით იმ კრიზისის დეტალურად აღწერას, თუმცა იგი ღირსია ჩვენი ყურადღებისა, რათა უკეთესად ჩავხედეთ ჩვენი ერის წარსულს და აწმყო გაჭირვებათა. ვიტყვით მხოლოდ, რომ ის დიდი კრიზისი ევროპაში ყველგან დაძლეული იყო, ძლეული იყო სულ პირველად სახელმწიფოს ჩარევით და შველით. ამ მხსნელმა მიშველებამ იქ ისეთი ბედნიერი მდგომარეობა შექმნა, რომ ამერიკის და რუსეთის იაფი პურის შეჭრა სასარგებლო და სახეირო გახდა იმ ქვეყნებისათვის, რადგან დროზედ მოხდა სამეურნეო სისტემების შეცვლა თანახმად ახლად შექმნილ პირობებისა. ამ ბრძოლიდან მაგალითად, დანია უფრო ძლიერი და გამდიდრებული გამოვიდა, ვიდრე იყო მაშინ, როდესაც პურეულის თესვას ხარბათ მისდევდა.

თითქოს ამაზედ იყო ნათქვამი: „ზოგი ჭირი მარგებელია“-ო. მართალია, დანიამშეამცირა ის ფართობი, რომელზედაც წინათ პურსა სთესდა, მაგრამ სწორედ მეურნეობის შეცვლილი სისტემის წყალობით, ამ უფრო მცირე ფართობზედ. წინანდელზედ მეტი მოსავლის აღება მოახერხა, რომელიც თვითონაც ყოფნიდა და გარეთაც გაქონდა, თუმცა ეს ექსპორტი მას იმდონად აღარ აინტერესებდა...

იმ დიდი კრიზისისაგან, რომელიც ჩვენს სამშობლოს დღეს ადგია, იგი დიდი ხანი გამოვიდოდა, მისთვის მზრუნველი მთავრობა რომ ყოლოდა მას. ამისი თავმდებია, როგორც სხვა ქვეყნების მაგალითები, ასე ჩვენი ერის ძველი კულტურის ისტორია. ამისთანა მთავრობა მიაწოდებდა ქართველ ხალხს საჭირო ხელმძღვანელობას, რათა სასოფლო - მეურნეობაც აყვავებულიყო და საქალაქო მრეწველობაც. რუსეთის თვითმპყრობელობის დროს, ტფილისში, რუსთ მოხელეთა მაღალ წრეებშიდ ხშირად გაიგონებდით ჩვენს ხალხზედ ასეთ ზერელე მსჯელობას: „აფსუსი არ არის, რომ ეს მდიდარი ქვეყანა, ისეთი ჩამორჩენილი და უკულტურო მოსახლეობის ხელშია, როგორც ქართველებიაო; გერმანელები, ინგლისელები და ამერიკელები მას სამოთხეთ გადაქცევდენო?“. ზოგი ქართველი ამასვე თუთიყუშივით იმეორებდა ამ ჩვენ დამცინავ სიტყვებსა.

ასეთი დაცინვები დღესაც არ გვაკლია. ერთ რუს- ემიგრანტულს ყრილობაზედ, პარიზში, ამ რამოდენიმე წლის წინად გამოვიდა ვინმე ორატორი (მგონი მას სრულიად რუსეთის დამფუძნებელ კრების პრეზიდუმში საპატიო ალაგი ელოდა), და კბილების უშნო კრეჭით

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველებს ასე დაგვცინა: „საქართველოს მთელი ეკონომიური სიძლიერე იმაში გამოიხატებოდაო, რომ მას მხოლოდ ერთად-ერთი საექსპორტო საქონელი ებადა და ისიც — რემინგტონის საწერი მანქანა იყოვო". არც ჩვენ მოგვაქვს თავი ჩვენი ყოველწლიური ექსპორტით, რომელიც ომის წინ, საშუალოდ, 42 მილიონ მანეთამდე ადიოდა. ამ ექსპორტს შედგენდა ოცი ოდე (20) სხვადასხვა გვარის საქონელი. მართალია, იმ სიაში რემინგტონის მანქანას არ ქონია ალაგი, მაგრამ სამაგიეროდ, რაც იქ შედიოდა, ყველა ეს საქართველოს მკვიდრ შვილთა მარჯვენით და ოფლით იყო მოყვანილი და მოპოვებული. დადგება დრო, საქართველოს კვლავ გაუჩნდება მისთვის მზრუნავი მშობლიური მართველობა და სწორედ ამითი მიეცემა ჩვენს ერს აუცილებელი პირობები, ექსპორტიც იმ სიმაღლეზდ აიყვანოს, როგორც ეს საქართველოს უხვს და მდიდარ ბუნებას შეეფერება. მაგრამ, ჩვენი ექსპორტის დღევანდელ დონის შესახებ აი რა გვაქვს სათქმელი. ომის წინ თვით რუსეთის ექსპორტი, თითო სულზედ ნაანგარიშევი, მოდიოდა საშუალოდ, წლიურად, ათ მანეთზედ ნაკლები. საქართველოსი-კი იგი იყო 17 მან. და 50 კაპ.

ამაზეა ნათქვამი: „ისეთმა ფურმა დამწიხლოს, ჩემზედ მეტს რომ იწველიდეს"-ო.

ამ ჟამად რომელიმე პოლიტიკურ-ეკონომიური სახელმძღვანელო რომ დაათვალიეროთ, იქ აუცილებლად, ასეთ ჭეშმარიტ დებულებას, აქსიომად გადაქცეულს, ამოიკითხავთ; „რა გინდ მდიდარი იყოს რომელიმე ქვეყანა, თვისი ბუნებრივი პირობებით, რა გინდ გამჭრახი და კულტურული მოსახლეობა ყავდეს მას, რა რიგი წინასწარ მოცემული მატერიალური პირობებით იყოს იგი აღჭურვილი, — იმ ქვეყნის ეკონომიურად უფრო მაღალს და მძლავრს საფეხურზედ ასვლა, მისი მეურნეობის ევოლუცია, ვერ მოხერხდება, თუ ამისათვის, სულ პირველად თვით სახელმწიფოსაგან, ხელისუფლებისაგან, არ იქმნა მიღებული სათანადო და წინასწარი ზომები".

როდესაც უცხოეთიდან იაფი პური შეიჭრა სკანდინავიის ქვეყნებში, ჰოლნდიასა თუ ბელგიაში, იქ ამით გამოწვეულ კრიზისის დასაძლევად, როგორც ავღნიშნეთ, მოსახლეობას მშველელად და ხელმძღვანელად სახელმწიფო აპარატი გამოუჩნდა. აი ასეთი სახელმწიფოებრივი აპარატის შველა ღა აკლია დღესაც საქართველოსა და, ამატომაც ფერხდება ჩვენი სასოფლო-მეურნეობის და ქალაქურ-მრეწველობის განვითარებაც.

საქართველოს დამოუკიდებლობის ძიება არ არის რაღაც განყენებული, ფილოსოფიური მცნება; მით უფრო, იგი არ არის უსაქმურ ინტელიგენტების მიერ მოგონილი ფანტაზია, როგორც ამას ჩვენი მტრები გაიძახიან. ჩვენი დამოუკიდებლობა სწორედ იმისთვი-

ეროვნული ბიბლიოთეკა

საცაა საჭირო, რომ ქართველი ერი გამოვიდეს იმ უკიდურეს ეკონომიურ დაქვეითებისაგან, რომელიც მას ძალათა აქვს თავზედ მოხვეული.

საქართველოს დამოუკიდებლობა არის ჩვენი ერის პოლიტიკური ხსნა და მასთან ერთად ეკონომიური განთავისუფლებაც. იგი. და მხოლოდ იგი მიანიჭებს ჩვენს ერს იმ მატერიალურს საშვალებებს, რომელიც საფუძვლად დაედება ჩვენი სამშობლოს წინ სვლ., მისი კულტურულ აღორძინებას.

გიორგი ჟურული.

ქ. პარიზი.

ქ ა რ თ ვ ე ლ ე ბ ი

საბჭოთა მწერლობის ყრილობაზე მოსკოვში

ამა წლის მარიამობისთვეში, მოსკოვში მოხდა საბჭოთა მწერლების ყრილობა. საბჭოთა საქართველოს მხრივ ამ ყრილობას დაესწრნენ: მ. ჯავახიშვილი, მ. ტოროშელიძე, პ. იაშვილი და ს. ეული. მოსკოვის გაზეთებმა ვრცლად დაბეჭდეს მათი სიტყვები და მოხსენებები. მოგვეყავს ზოგი ერთი დამახასიათებელი ადგილები მ. ჯავახიშვილის და მ. ტოროშელიძის მოხსენებებიდან დაბეჭდილი „იზვესტია“-ში, 23 აზვის. № 197.

მ. ჯავახიშვილი. — „სტილი „სოვეტიკ“ უკვე არსებობს—ეს უდავო ფაქტია, მთელ ბურჟუაზიულ ქვეყნიერობის მიერ ცნობილი. მართალია ჩვენ უკვე მივაღწიეთ წინ მსვლელობაში საგრძნობ სიმაღლეებს, მაგრამ მწვერვალისაგან ჯერ კიდევ შორსა ვართ. ჩვენ ჯერ არ მოგვეპოვება საბჭოთა პუშკინი, ტოლსტოი, რუსთაველი, ბალზაკი, შექსპირი...

თუ კაპიტალისტურ ქვეყნების ლიტერატურას ეტყობა დაბერება, მოქანცვა და ცხოველ იდეების ნაკლებობა, ჩვენში, პირიქით, ეს იდეები ისეთ გადამეტებულ დოზებად გვეძლევა, რომ მხატვრულ ნაწარმოები უბრალო „აგიტკათ“ იქცევა. ჩვენი მკითხველისათვის მიუღებელია პუბლიცისტური ტენდენციებით გატენილი ლიტერატურული ნაწარმოებნი.

აქა იქ გაისმის ხმები აგრძალულ თემების შესახებ; ჩემის აზრით

ეროვნული ბიბლიოთეკა

საჭიროა ყველაფერზე იწერებოდეს: სიყვარულზე, ოჯახზე, ამშენებლობაზე, წარსულზე, აწმყოზე, მომავალზე. მაგრამ თავდაპირველად უნდა იწერებოდეს—სიმართლიდ, გულწრფელად და მასალის სრულის ცოდნითა.

საბჭოთა კავშირის ერების ლიტერატურა, კერძოთ ქართული, რუსულ ენაზე გადათარგმნილი, სტილის მხრივ, ყველაზე უფრო ბევრად აგებს. ეს აიხსნება იმით, რომ არც ერთმა რუსმა ლიტერატორმა არ იცოდა და არ იცის ქართული ენა, მაშინ როდესაც ჩვენს ენას სწავლობდნენ და განაგრძობენ სწავლას მრავალი ევროპიელნი. ჩვენი ჩრდილოეთის თანამოძმეები მოკლებულნი ცნობის მოყვარეობას, გვაიძულებენ ჩვენ ქართველებს ჩვენივე ნაწარმოებნი ვთარგმნოთ რუსულად. და რადგანაც რუსულ ენას ხეირიანად არ ვიცნობთ, ეს თარგმანები ძალიან სუსტნი გამოდიან...

ამ დღეებში ჩვენ გვაცნობეს, რომ უცხო ენებზე 1064 წიგნი საბჭოთა ავტორებისა გამოვიდა. არ ვიცი მათ შორის რამდენი წიგნია არა რუს ავტორებისა, მაგრამ კი ვიცი, რომ მათს ოიგში არ მოიპოვება არც ერთი ქართული წიგნი... და ეს აიხსნება, რასაკვირველია, არა ცუდი ხარისხით თანამედროვე ქართული ლიტერატურისა.

ქართულ ლიტერატურის ისტორიაზე, მოხსენებას აკეთებს მ. ტოროშელიძე (კომუნისტი) და ვზა და ვზა აფასებს გუშინდელ და დღევანდელ ქართველ მწერლებსა.

მ. ტოროშელიძე. — „ქართული ლიტერატურა აღმოსავლეთში ერთი უძველესი ლიტერატურაა; თითქმის 15 საუკუნის მანძილზე საქართველოს აქვს საკუთარი შეუწყვეტელი ლიტერატურული ტრადიცია. თავისი მნიშვნელობით და დიაპაზონით ძველი ქართული ლიტერატურა არაფრად არ უთმობს არც ერთ სხვა ლიტერატურას, საშუალო საუკუნეობისა. უმაღლესი მისი გამომსახველი არის **შოთა რუსთაველის** „ვეფხვის ტყაოსანი“ — ეს ერთი უდიდესი ძეგლთაგანი მსოფლიო ლიტერატურისას. წარმოდგენა აქ მთელი სურათის, მდიდარ ძველ ქართულ ლიტერატურისა, ძალიან რთული ამოცანაა“.

მე-17 - 18 საუკუნეების ლიტერატურულ ეტაპების მცირე განმარტების შემდეგ ბ. მ. ტოროშელიძე ჩერდება მე-19 საუკუნეზე და მის ლიტერატურულ ცხოვრების უკანასკნელ გამომჩენილ გამომსახველზე **ილია ჭავჭავაძეზე:**

მე-19 საუკუნის მე-60 წლებს აქვს განსაკუთრებული მნიშვნელობა ქართველ ხალხის ცხოვრებაში და ქართულ ლიტერატურაში. ყველაზე დიდ ყურადღებას ამ ხანის მწერალთა შორის იქცევს **ილია ჭავჭავაძე.** თავისი პოეტური და პუბლიცისტური ნაწარმოებით იგი დიდ გავლენას ახდენს ქართულ ლიტერატურაზე ჩვენს დღეებამდის.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰავჭავაძე ნაციონალისტია და დგას ოპოზიციაში მთავრობასთან. მისი პოეზიის მთავარი ზოლი—ეროვნული ჰანგია. **აკაკი წერეთელთან** ერთად, იგი აარსებს იმ ქართულ ნაციონალიზმს, რომლითაც გამსჭვალულია მთელი ქართული ლიტერატურა.

მგოსანს **ვაჟა ფშაველას** — მეტად ორიგინალურ მწერალს ქართულს ლიტერატურაში — ეჯავრება ცარიზმიც და კაპიტალიზმიც, ორივე ერთად. პირველი, როგორც საქართველოს დამპყრობი, მეორე — როგორც მისი ხალხის ძველ ტრადიციების და ეროვნულ საზღვრების დამრღვევი"...

დღევანდელ მწერლობაში მ. ტოროშელიძე, განსაკუთრებულ ადგილს მ. ჯავახიშვილს უთმობს:

„**მ. ჯავახიშვილი** — ამბობს ბ. ტოროშელიძე—მნიშვნელოვანი ფიგურაა ქართულ საბჭოთა ლიტერატურის ასპარეზზე. იგი გაჩნდა ქართულ ლიტერატურის ჰორიზონტზე, ოქტომბრის რევოლიუციის 15 წლის წინად და მიიქცია ყურადღება თავის ჰუმანიურ - ლიბერალურ მიმართულებით, მაგრამ მ. ჯავახიშვილი სტოვებს ლიტერატურულ სცენას და უბრუნდება მას პროლეტარულ რევოლიუციის პირობებში. მისმა „**ჯაყოს ხიზნებმა**" დიდი რეზონანსი ჰპოვა საზოგადოებაში. მართალია, ამ რომანში ავტორმა ძალიან დაამახინჯა რევოლიუციის სინამდვილის პროცესსი, მაგრამ „**ჯაყოს ხიზნებში**" ისეთი სიძლიერით ნაჩვენებია უნიათობა, სიუძლურე, რევოლიუციით დაშინებულ ქართველი ინტელიგენციის, როგორც თანამედროვე ქართულ საზოგაროებრივი ტიპისა, რომ თავის დროზედ ამ რომანმა ავტორს „რევოლიუციის თანამგზავრის" რეპუტაცია მიანიჭა. შემდეგში, კლასთა მწვავე შეჯახების პირობებში, ჩვენი რევოლიუციის რეკონსტრუქციის პერიოდში, **მ. ჯავახიშვილი** გადადის მემარჯვენე ბანაკში და იქერს მნიშვნელოვან ადგილს ანტიპროლეტარულ მწერალთა რიგში; 1926 - 1928 წ.წ. მ. ჯავახიშვილი უდგება სათავეში „არფიონი"-ის მწერალთა კავშირს, რომელშიაც შედიოდნენ: **შალვა დადიანი, ს. შანშიაშვილი, ლ. ქიაჩელი, გ. ქიქოძე, კ. ჭიჭინაძე, დ. სულიაშვილი, ი. მოსაშვილი, ლ. მეტრეველი, კ. კაპანელი** და სხვა. **მ. ჯავახიშვილს** მოელოდებოდა საფრთხე ბურჟუაზიულ მწერლად გახდომისა. მაგრამ მწერალმა დროზე შეიგნო თუ საითკენ მიაქანებდა ამ მიმართულების ლოღიკა და 2 - 3 წლის სიჩუმის შემდეგ დაიწყო ბეჭდვა თავის ცნობილ „**არსენა მარაბდელისა**". ამ რომანმა დაგვიდასტურა, რომ ავტორი დაადგა გადახალისების გზას და მიუახლოვდა იდეურად პროლეტარულ პოზიციებს...

ძლიერი გავლენა რევოლიუციამ მოახდინა, აგრეთვე მწერალ **ნიკო ლორთქიფანიძეზე** — მე-20-ე საუკუნის ქართულ მხატვრულ პოეზიის ამ გამოჩენილ წარმომადგენელზე...

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველ პროლეტარულ პოეზიის ზრდა ბ. ტოროშელიძის ჩვენებით — უმთავრესად ახალ ძლიერ ძალებს ეყრდნობა, როგორიც არიან : **ა. მაშაშვილი, კ. ლორთქიფანიძე, კ. კალაძე, პ. ჩხიკვაძე, პ. ნაროუშვილი, ბ.ჩხეიძე, ე. პოლუმორდვინოვი, ი. აბაშიძე, გ. კაჭახიძე, ა. გომიაშვილი, კ. ბობოხიძე, ი. ვაკელი, კ.სამსონიძე** და სხვ.

მაგრამ ბ. ტოროშელიძე, სამწუხაროდ არ ჩამოთვლის ამ „ახალ ძლიერ ძალების“ ნამუშავარს, გარდა **პ. სამსონიძის** — „სალტესი“ (კოლხოზურ ცხოვრებიდან)... ალბათ ჯერ კიდევ სწერენ... დასასრულს ბ. ტოროშელიძე მწუხარებას დასძენს :

„მიუხედავად ამ ორი წლის განმავლობაში დაწერილ მთელ რიგ ნიჭიერ ნაწარმოებისა (?) უნდა გამოვტყდეთ, რომ ქართულმა ლიტერატურამ ჯერ კიდევ არ მოგვცა სრულ წონიანი, მთლიანი ნაწარმოები, რომელიც მთელს ჩვენს სინამდვილეს გამოხატავდეს“...

ჩვენის რწმენით, დღევანდელ ქართულ სინამდვილის მთლიანი გამომხატველი, რომელსაც შენატრის ბ. **მ. ტოროშელიძე** — გაჩნდება მაშინ, როდესაც საქართველო დაამსხვრევს მოსკოვის ბოროკლებს და ქართველი ხალხი განთავისუფლება რუს მუჟიკების მიერ დაწესებულ ჩვენში მხეცური რეჟიმისაგან.

ქართველი მწერალი.

ქართული წარმოდგენა

8 მოემბერს, პარიზში დადგმულ იქმნა დ. ერისთავის ცნობილი პიესა „სამშობლო““. ეს მესამე წარმოდგენაა, რომელიც ბ. შალვა ნებიერიძემ ეამართა პარიზში, სცენის მოყვარეთა ძალებით—(პატარა კახი, ღალატი, სამშობლო). ყველასთვის ნათელი უნდა იყოს ამ საუკეთესო პატრიოტულ პიესების დადგმის მნიშვნელობა ემიგრაციაში, სადაც ბლომად მოიპოვებიან ისეთი ახალგაზდანი, რომელნიც უცხო მიწა-წყალზე აღიზარდენ და ქართული სცენა არასოდეს უნახავთ.

სცენის მოყვარეთა წრეს და მის ხელმძღვანელს ყოველად აუტანელს პირობებში უხდებათ ამ საქმის წარმოება. ქართულ ემიგრაციის უაღრესად დაძაბუნებისა და დაშლილობის გამო, ამ საქმეს ვერცერთი წრე, ვერც ერთი დაწესებულება ვერ უწევს რაიმე დახმარებას და სასცენო საქმ ხომ ნორმალურად დაწყობილ ქვეყნებშიც ვერ ხეირობს, თუ მას მუდმივი დახმარება არ აქვს სახელმწიფო

ეროვნული ბიბლიოთეკა

თუ სხვა წყაროებიდან. „სამშობლო“ დადგმულ იქმნა ისეთს სცენაზე, რომლის სივრცე სამს ადლს არ აღემატებოდა. მიუხედავად ამისა საზოგადოება ფრიად კმაყოფილი დარჩა წარმოდგენით. მსახიობებსა და რეჟისორს დიდი მუშაობა გაუწევიათ პიესის დამზადებისათვის და ასეთს გაუტეხელს მუყაითობას, რომ საზოგადოების დახმარებაც მიმატებოდა, ქართულ ემიგრაციას მუდმივი სათეატრო საქმე გაუჩნდებოდა. ჩვენს პირობებში მყოფ საზოგადოებას ბევრი ვერ მოეთხოვება, მაგრამ, ნუ თუ შეუძლებელია შექმნა ისეთი წრის, ისეთი საზოგადოების, რომელიც თავის მუდმივი მზრუნველობის საგნად გაიხდის როგორც სათეატრო, ასევე სხვა ქართულ კულტურულ საქმეს.

სარედაქციო კოლეგია.

La gérante : **Suzanne Bertillon.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რედაქციის მისამართი :

Mr PATARIDZÉ,
89, rue de la Republique, St Mandé (Seine).

Impr. de Navarre: 5, rue des Gobelins, Paris (XIIIe).

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფასი 3 ფრ.

Impr. de Navarre: 5, rue des Gobelins, Paris (XIIIe).